




სოციალური კვლევისა და
ანალიზის ინსტიტუტი



მასწავლებელთა
პროფესიული
განვითარების
ეროვნული
ცენტრი

**მასწავლებელთა საჭიროებებისა და მასწავლებელთა
პროფესიული განვითარების ცენტრის მიერ შეთავაზებული
მომსახურებების, რესურსებისა და პროგრამების შეფასება**



სარჩევი

ძირითადი შედეგები 3

I. მეთოდოლოგიის აღწერა 20

 1.1. კვლევის მიზანი და ამოცანები 20

 1.2. თვისებრივი კვლევის მეთოდოლოგიის აღწერა 20

 1.3. რაოდენობრივი კვლევის მეთოდოლოგიის აღწერა 22

 1.4. მონაცემების დამუშავება და ანალიზი 25

II. მასწავლებლების რაოდენობა 26

III. სოციო-დემოგრაფიული პროფილი 32

IV. მასწავლებელთა პროფესიული სტანდარტები და სხვა საკანონმდებლო რეგულაციები: ინფორმირებულობა და შეფასება 36

 4.1. მასწავლებელთა პროფესიული სტანდარტები და სხვა საკანონმდებლო რეგულაციები რეგიონების მიხედვით 43

V. მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრის პროგრამები: ინფორმირებულობა, ჩართულობა და შეფასება 52

 5.2. მასწავლებელთა პროფესიული ეროვნული ცენტრის მიერ განხორციელებული პროგრამები რეგიონების მიხედვით 60

VI. მასწავლებელთა პროფესიული განვითარებისთვის საჭირო რესურსები: ინფორმირებულობა, ჩართულობა და შეფასება 71

 6.2. მასწავლებელთა პროფესიული განვითარებისთვის საჭირო რესურსები რეგიონების მიხედვით 81

VII. მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ გამოცემული დამხმარე მასალები 91

VIII. მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ შეთავაზებული მომსახურებები: ჩართულობა და შეფასება 97

 8.2. მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ შეთავაზებული მომსახურებები რეგიონების მიხედვით 102

IX. მასწავლებელთა პროფესიული განვითარების საჭიროებების შეფასება 112

X. მასწავლებელთა ზოგადი პროფესიული უნარების თვითშეფასება 115

 10.2. კომპეტენციის გაზრდისთვის მნიშვნელოვანი საშუალებები 124

 10.3. ზოგადი პროფესიული უნარების თვითშეფასება საგნების მიხედვით 136

 10.4. ზოგადი პროფესიული უნარების თვითშეფასება სერტიფიცირების სტატუსის მიხედვით 151

XI. მასწავლებელთა პროფესიული უნარების და საგნობრივი კომპეტენციების თვითშეფასება 153

ძირითადი შედეგები

სოციო-დემოგრაფიული პროფილი

- ✓ გამოკითხულ მასწავლებელთა აბსოლუტური უმრავლესობა მდებარეობითი სქესისაა (93.1%). მათი ასაკი, ძირითადად, 35–54 წელს შორის მერყეობს (58.9%). მათგან 82.9%-ს მაგისტრის ხარისხი აქვს. გამოკითხული მასწავლებლების 94% სახელმწიფო სკოლაში მუშაობს. მასწავლებელთა უმრავლესობა მაღალ კლასებს ასწავლის (64.4%), მეხუთედი – დაწყებითს, ხოლო როგორც დაწყებით, ასევე მაღალ კლასებს ასწავლის გამოკითხულთა 14.6%. მასწავლებლების 38.2%-ა სერტიფიცირებულია, მათგან უმრავლესობას საბაზო–საშუალო კლასების სერტიფიკატი აქვს.
- ✓ მასწავლებელთა ხელფასის საშუალო რაოდენობა 343 ლარია. თითქმის მესამედის შემოსავალი 301–400 ლარს შეადგენს, 18.7%-ის ხელფასი 201–300 ლარია, 15.3%-ის – 401–500 ლარი. გამოკითხულთა ნახევარი მიიჩნევს, რომ მისი ოჯახის მატერიალური მდგომარეობა საშუალოა და რომ ისინი ახერხებენ ოჯახის ძირითადი მოთხოვნილებების დაკმაყოფილებას. მესამედზე მეტი ამბობს, რომ მისი ოჯახის მატერიალური მდგომარეობა ცუდია, ხოლო 12.9% აცხადებს, რომ მის ოჯახს შემოსავალი საკვებზეც კი არ ჰყოფნის.

მასწავლებელთა პროფესიული სტანდარტები და სხვა საკანონმდებლო რეგულაციები

- ✓ ჩამოთვლილი პროფესიული სტანდარტებისა და რეგულაციების შესახებ ინფორმირებულობის განსაზღვრისას აღმოჩნდა, რომ ჩამოთვლილი კომპონენტების შესახებ ინფორმირებულობის ხარისხი მაღალია. საშუალოდ, მასწავლებელთა დაახლოებით 5% საუბრობს იმაზე, რომ ამა თუ იმ რეგულაციასთან დაკავშირებით არ აქვს ინფორმაცია. აღმოჩნდა, რომ მოსწავლის ქცევის კოდექსის, მასწავლებლის ეთიკის კოდექსისა და მასწავლებელთა საგნობრივი სტანდარტის შესახებ მასწავლებლები ყველაზე მეტად ინფორმირებულნი არიან, ხოლო საჯარო სკოლის დირექტორის ეთიკის კოდექსის, ზოგადი განათლების ეროვნული მიზნების დამტკიცების შესახებ დადგენილებისა და მასწავლებელთა პროფესიული განვითარების სქემის შესახებ – ყველაზე ნაკლებად (გამოკითხულთა დაახლოებით მეათედი არ არის ინფორმირებული).
- ✓ ჩამოთვლილი რეგულაციებიდან ყველაზე მეტად პროფესიაში მასწავლებლებს მასწავლებელთა საგნობრივი სტანდარტი (73.5%-ს დაეხმარა), მასწავლებლის ეთიკის კოდექსი (69.4%-ს დაეხმარა), მოსწავლის ქცევის კოდექსი (66.1%) და მასწავლებელთა ზოგადი

პროფესიული სტანდარტი (65.6%) ეხმარება. აღნიშნული მონაცემები დათვლილია მათგან, ვინც ჩამოთვლილი რეგულიაციების შესახებ სრულად ან ნაწილობრივ ინფორმირებულია.

- ✓ ის რეგულაციები კი, რომლებიც მასწავლებლებს პროფესიაში არ დახმარებია, ყველაზე ხშირად საჯარო სკოლის დირექტორის ეთიკის კოდექსი (13.4%-ს არ დახმარებია) და მასწავლებლის პროფესიული განვითარების სქემა (9.2%-ს არ დახმარებია). საშუალოდ, იმ მასწავლებლების რაოდენობა, რომლებსაც ჩამოთვლილი რეგულიაციები არ დახმარებია, დაახლოებით 5%-ია. აღნიშნული მონაცემები დათვლილია მათგან, ვინც ჩამოთვლილი რეგულიაციების შესახებ სრულად ან ნაწილობრივ ინფორმირებულია.
- ✓ ის მასწავლებლები, რომლებიც იცნობენ ჩამოთვლილ საკანონმდებლო რეგულაციებს, აქვთ სრული ან ნაწილობრივი ინფორმაცია მათ შესახებ, ამბობენ, რომ ძირითადად, ინფორმაცია მათ შესახებ მიიღეს ინტერნეტით (30.6%), სკოლის დირექტორისგან (27.9%), რესურსცენტრის მეშვეობით (11.6%), სხვა მასწავლებლებისგან (11.6%) ან მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის საშუალებით (9.8%).
- ✓ ის რესპონდენტები, რომლებიც აღნიშნავენ, რომ არ ჰქონდათ ინფორმაცია ჩამოთვლილი საკანონმდებლო რეგულაციების შესახებ, ამის მთავარ მიზეზად ასახელებდნენ არახელმისაწვდომ რესურსებს (24.6%). ნაწილი აცხადებდა, რომ არ იცოდნენ აღნიშნული რეგულაციების არსებობის შესახებ. 17.3% ამბობს, რომ არ ჰქონდათ დრო რეგულაციების გაცნობისთვის. 14.7% ამბობს, რომ არ ესაჭიროებოდა ამ რეგულაციების გამოყენება პროფესიულ საქმიანობაში, ხოლო მეთექვსმეტი აღნიშნავს, რომ არ არის დაინტერესებული ჩამოთვლილი საკანონმდებლო აქტებით.
- ✓ ინფორმირებულობის მაღალი ხარისხი ყველაზე ხშირად სამეგრელო-ზემო სვანეთში დაფიქსირდა. ეს ტენდენცია განმეორდა ყველა რეგულაციასთან მიმართებით. ინფორმირებულობის შედარებით დაბალი ხარისხი კი ქვემო ქართლსა და აჭარაში გამოვლინდა.
- ✓ საკანონმდებლო რეგულაციებისა და პროფესიული სტანდარტების მიმართ დადებითი შეფასება ყველაზე ხშირად სამეგრელო-ზემო სვანეთში აღინიშნა. ეს ტენდენცია განმეორდა ყველა რეგულაციასთან მიმართებით. ისეთი მასწავლებლების რაოდენობა, რომლებიც ამბობდნენ, რომ ჩამოთვლილი კომპონენტები მათ პროფესიაში არ დაეხმარა, ყველაზე მეტი იყო ქვემო ქართლსა და თბილისში.

მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრის პროგრამები

- ✓ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრის მიერ განხორციელებული პროგრამების შესახებ ინფორმირებულობის განსაზღვრისას აღმოჩნდა, რომ ჩამოთვლილი კომპონენტების შესახებ ინფორმირებულობის ხარისხი, რეგულაციებთან შედარებით, დაბალია. საშუალოდ, მასწავლებელთა დაახლოებით მეხუთედი საუბრობს იმაზე, რომ ამა თუ იმ რეგულაციასთან დაკავშირებით არ აქვს ინფორმაცია. აღმოჩნდა, რომ ყველაზე მეტად ინფორმირებული მასწავლებლები ინკლუზიური განათლების (52.2%–სრულად, 38.2% – ნაწილობრივ), სკოლის ბაზაზე მასწავლებელთა პროფესიული განვითარების (45.9%–სრულად, 41.8% – ნაწილობრივ), პროფესიული განვითარების პროგრამისა (45%–სრულად, 42.6% – ნაწილობრივ) და მასწავლებელთა პროფესიული განვითარების სქემის (42.5% –სრულად, 47.7% – ნაწილობრივ) შესახებ არიან. მასწავლებელთა ნახევარზე მეტი არ ფლობს ინფორმაციას პროგრამა „პესტალოცის“ შესახებ (59.8%). დიდ ნაწილს არ აქვს ინფორმაცია პროგრამებზე: „ვისწავლოთ ქართული, როგორც მეორე ენა“ (31.3%), „ქართული ენა მომავალი წარმატებისთვის“ (26.7%), „ასწავლე და ისწავლე საქართველოსთან ერთად“ (24.9%), „ასწავლე საქართველოსთვის“ (23.8%) და მაძიებლობა–მენტორობა (20.7%).
- ✓ საერთო ჯამში, რესპონდენტების დაახლოებით ნახევარი სრულად ინფორმირებულია მხოლოდ სამი პროგრამის შემთხვევაში, ესენია: „ინკლუზიური განათლება“, „სკოლის ბაზაზე მასწავლებელთა პროფესიული განვითარება“ და „პროფესიული განვითარების პროგრამა“. ნაწილობრივი ინფორმაციის ფლობის პროცენტული მაჩვენებელი კი აჭარბებს სრული ინფორმაციის ფლობის მაჩვენებლებს შემდეგ პროგრამებთან დაკავშირებით: „მასწავლებელთა პროფესიული განვითარების სქემა“, დამხმარე სახელმძღვანელოები მასწავლებლებისა და სკოლის დირექტორებისთვის, მაძიებლობა–მენტორობა, „ასწავლე საქართველოსთვის“, „ქართული ენა მომავალი წარმატებისთვის“, „ვისწავლოთ ქართული, როგორც მეორე ენა“, „ასწავლე და ისწავლე საქართველოსთან ერთად“.
- ✓ ჩამოთვლილი პროგრამებიდან ყველაზე პოპულარულ მასწავლებლები აფასებენ პროგრამებს: „დამხმარე სახელმძღვანელოები მასწავლებლებისა და სკოლის დირექტორებისთვის“ (66.2%), „ინკლუზიური განათლება“ (65.6%), „პროფესიული განვითარების პროგრამა“ (64.3%), „სკოლის ბაზაზე მასწავლებელთა პროფესიული განვითარება“ (63.2%) და „ქართული ენა მომავალი

წარმატებისთვის“ (62.1%). პროგრამები მხოლოდ იმ რესპონდენტებმა შეაფასეს, რომლებიც მათ შესახებ სრულ ან ნაწილობრივ ინფორმაციას ფლობდნენ.

- ✓ ინფორმირებული მასწავლებლები ყველაზე ნეიტრალურად აფასებენ პროგრამებს: „პესტალოცი“ (59.4% აფასებს ნეიტრალურად) და მაძიებლობა – მენტორობა (48.1% აფასებს ნეიტრალურად), უარყოფითად კი პროგრამებს: „პესტალოცი“ (4.8% აფასებს ნეგატიურად) და „ვასწავლოთ ქართული, როგორც მეორე ენა“ (4.7% აფასებს ნეგატიურად). საერთო ჯამში, პროგრამების ნეგატიური შეფასების საშუალო მაჩვენებელი არ აღემატება 3%-ს.
- ✓ ის მასწავლებლები, რომელთაც აღნიშნეს, რომ ჩამოთვლილი პროგრამების შესახებ ინფორმაციას ფლობენ, აცხადებენ, რომ მათ შესახებ ინფორმაცია ინტერნეტით (30.1%), სკოლის დირექტორისგან (26.9%), სხვა მასწავლებლებისგან (12.8%), რესურსცენტრის (12.2%) ან მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის მეშვეობით მიიღეს (8.7%).
- ✓ ის მასწავლებლები კი, რომელთაც აღნიშნეს, რომ ჩამოთვლილი პროგრამების შესახებ ინფორმაცია არ აქვთ, ამის მიზეზად ასახელებენ იმას, რომ არაფერი იციან ამ პროგრამების არსებობის შესახებ. ნაწილი ამბობს იმასაც, რომ მათთვის რესურსები ხელმიუწვდომელია (25.8%). 15.5% აღნიშნავს, რომ არ აქვს დრო, ხოლო მეთაფი ამბობს, რომ არ სჭირდება ამ პროგრამების გამოყენება პროფესიული განვითარებისთვის. 6.2%-ისთვის ჩამოთვლილი პროგრამები არ არის საინტერესო.
- ✓ თითქმის ყველა ჩამოთვლილ კომპონენტთან მიმართებით, ინფორმირებულობის შედარებით მაღალი ხარისხი სამეგრელო–ზემო სვანეთში დაფიქსირდა. ზოგიერთ კომპონენტთან დაკავშირებით (როგორებიცაა პროგრამები „პესტალოცი“, „ასწავლე საქართველოსთვის“, „დამხმარე სახელმძღვანელოები მასწავლებლებისა და დირექტორებისთვის“), სამეგრელო–ზემო სვანეთთან ერთად, ინფორმირებულობის შედარებით მაღალი ხარისხი დაფიქსირდა სამცხე–ჯავახეთში. ხოლო ისეთ კომპონენტებთან დაკავშირებით, როგორებიცაა: „ქართული ენა მომავალი წარმატებისთვის“ და „ვასწავლოთ ქართული, როგორც მეორე ენა“, სრულ ინფორმაციას ყველაზე ხშირად სამცხე–ჯავახეთში ფლობდნენ.
- ✓ თითქმის ყველა ჩამოთვლილ კომპონენტთან მიმართებით, არაინფორმირებულობის ხარისხი მაღალი იყო გურიასა და ქვემო ქართლში. ზოგიერთ კომპონენტთან დაკავშირებით არ ჰქონდათ ინფორმაცია აჭარასა („პროფესიული განვითარების პროგრამა“, „ინკლუზიური განათლების პროგრამა“) და შიდა ქართლშიც (პროგრამა „პესტალოცი“).



- ✓ თითქმის ყველა ჩამოთვლილ კომპონენტთან მიმართებით, ყველაზე პოზიტიური შეფასებებით გამოირჩევიან ის მასწავლებლები, რომლებიც სამეგრელო-ზემო სვანეთში გამოიკითხნენ (გარდა პროგრამისა „ვასწავლოთ ქართული, როგორც მეორე ენა“). ზოგიერთ შემთხვევაში პოზიტიური შეფასებები დაფიქსირდა სამცხე-ჯავახეთში (პროგრამები „მასწავლებელთა პროფესიული განვითარების სქემა“ და „ვისწავლოთ ქართული, როგორც მეორე ენა“), ქვემო ქართლში (პროგრამები „პესტალოცი“ და „ვასწავლოთ ქართული, როგორც მეორე ენა“) და კახეთში (პროგრამა „დამხმარე სახელმძღვანელოები მასწავლებლებისა და დირექტორებისთვის“). აღნიშნული მონაცემები დათვლილია მათგან, ვინც ჩამოთვლილი პროგრამების შესახებ სრულად ან ნაწილობრივ ინფორმირებულია.
- ✓ ნეიტრალური შეფასებებით ხშირად გამოირჩევიან ის რესპონდენტები, რომლებიც გამოიკითხნენ გურიაში, აჭარაში, შიდა ქართლში, იმერეთში, რაჭა-ლეჩხუმსა და ქვემო სვანეთში. ნეგატიური შეფასებები ხშირად დაფიქსირდა თბილისის, შიდა ქართლის, კახეთის, სამცხე-ჯავახეთის, გურიის, აჭარის, იმერეთის, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის რეგიონებში. ნეგატიური შეფასებები, განსხვავებით პოზიტიური შეფასებებისგან, უფრო ხშირად ვარირებდა. აღნიშნული მონაცემები დათვლილია მათგან, ვინც ჩამოთვლილი პროგრამების შესახებ სრულად ან ნაწილობრივ ინფორმირებულია.

მასწავლებელთა პროფესიული განვითარებისთვის საჭირო რესურსები

- ✓ ჩამოთვლილი კომპონენტების შესახებ ინფორმირებულობის ხარისხი შედარებით მაღალია, ვიდრე პროგრამების შემთხვევაში იყო, თუმცა უფრო დაბალია, ვიდრე რეგულაციების შემთხვევაში იყო. საშუალოდ, მასწავლებელთა დაახლოებით 15% საუბრობს იმაზე, რომ ამა თუ იმ რესურსთან დაკავშირებით არ აქვს ინფორმაცია. აღმოჩნდა, რომ ყველაზე მეტად ინფორმირებული მასწავლებლები უურნალ „მასწავლებლის“ შესახებ არიან (52% - სრულად, ხოლო 35.2% ნაწილობრივ ინფორმირებულია). ეს ერთადერთი კომპონენტია, სადაც სრულად ინფორმირებული მასწავლებლების რაოდენობა აღემატება ნაწილობრივ ინფორმირებულ მასწავლებელთა რაოდენობას. დანარჩენი კომპონენტების შესახებ მასწავლებლებს უფრო მეტად ნაწილობრივი ინფორმაცია აქვთ. მაგალითად, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ შემუშავებული სასწავლო ფილმებისა და ვიდეო გაკვეთილების (57.8%-ს აქვს ნაწილობრივი ინფორმაცია), ინტერნეტრესურსებისა (55.7%-ს აქვს ნაწილობრივი ინფორმაცია) და ელექტრონული რესურსების (51.3%-ს აქვს ნაწილობრივი ინფორმაცია) შესახებ მასწავლებელთა ნახევარზე მეტს ნაწილობრივი ინფორმაცია აქვს.



სახელმძღვანელოების შემთხვევაში კი სრული და ნაწილობრივი ინფორმაციის ფლობას შორის პროცენტული მაჩვენებლები თითქმის თანაბრად ნაწილდება (47.8%-ს ნაწილობრივი ინფორმაცია აქვს, 46.2%-ს სრული).

- ✓ რესპონდენტებს ყველაზე ხშირად არ აქვთ ინფორმაცია მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ შემოთავაზებული ელექტრონული რესურსების (24.8%), ინტერნეტგაზეთ „mastsavlebeli.ge“-ს (24%) და სასწავლო ფილმებისა და ვიდეო გაკვეთილების (20.1%) შესახებ. როგორც მონაცემებიდან ჩანს, მასწავლებელთა 20–25%-ს ამ რესურსების შესახებ ინფორმაცია არ აქვს, რაც საკმაოდ მაღალი პროცენტული მაჩვენებელია. შედეგები გამოკვეთს ტენდენციას, რომ ელექტრონული საშუალებების შესახებ ინფორმირებულობის ხარისხი გაცილებით დაბალია, ვიდრე ბეჭდური სახით შეთავაზებული რესურსების შესახებ.
- ✓ ის მასწავლებლები, რომელთაც არ აქვთ ინფორმაცია ჩამოთვლილი რესურსების შესახებ, ამბობენ, რომ მათთვის რესურსები არ არის ხელმისაწვდომი (38.4%). თითქმის მესამედი ამბობს, რომ არ აქვთ ინფორმაცია ამ რესურსების არსებობის შესახებ. გამოიკვეთა არაინფორმირებულობის ორი მთავარი მიზეზი. ეს მიზეზები ვალიდურია თითოეული რეგიონის მიხედვით მონაცემების ანალიზისას.
- ✓ იმ მასწავლებლებმა, რომლებსაც ჰქონდათ ინფორმაცია ჩამოთვლილი რესურსების შესახებ, აღნიშნეს, რომ ინფორმაციას, ძირითადად, ინტერნეტის (30.5%), სკოლის დირექტორის (25.7%), სხვა მასწავლებლების (13.9%) ან რესურსცენტრის (12.3%) მეშვეობით იღებენ. ზოგიერთმა აღნიშნა, რომ მათი ინფორმაციის წყარო მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი (8.4%) ან სკოლაში სპეციალურად შერჩეული საკონტაქტო პირია (7.1%). მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ ეს მონაცემები დათვლილია იმ რესპონდენტთაგან, რომელთაც ჩამოთვლილი რესურსების შესახებ სრული ან ნაწილობრივი ინფორმაცია აქვთ.
- ✓ ინფორმირებული მასწავლებლებისგან უმრავლესობა სარგებლობს/უსარგებლია ჩამოთვლილი რესურსებით. ყველაზე ხშირად ისინი სარგებლობენ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ შემოთავაზებული სახელმძღვანელოებითა (78.9%) და უურნალ „მასწავლებლით“ (70.3%). ყველაზე იშვიათად მასწავლებლები სარგებლობენ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ შემოთავაზებული ელექტრონული რესურსებით (არ უსარგებლია/სარგებლობს 61.3%) და



მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ შემუშავებული სასწავლო ფილმებითა და ვიდეოგაკვეთილებით (არ უსარგებლია/სარგებლობს 59.6%). მიუხედავად ამისა, ყველა ჩამოთვლილი რესურსით სარგებლობას აპირებს ინფორმირებულ მასწავლებელთა უმრავლესობა.

- ✓ ვინც არ სარგებლობს ჩამოთვლილი რესურსებით და არც აპირებს, ისარგებლოს (ასეთთა რაოდენობა 423-ია), აცხადებენ, რომ ამის მიზეზი, ერთი მხრივ, რესურსების მიმართ ხელმიუწვდომლობაა (28.8%), ხოლო, მეორე მხრივ, დროის არქონა (24.6%).
- ✓ მათგან, ვისაც უსარგებლია/სარგებლობს აღნიშნული რესურსებით (ასეთი სულ 4470 რესპონდენტი), უმრავლესობა აცხადებს, რომ მათ ხელი შეუწყვეს გამოკითხულთა პროფესიულ წინსვლას. ყველაზე დადებითად მასწავლებლები სახელმძღვანელოებს აფასებენ (78.2%).
- ✓ ინფორმირებულობის გაზომვისას აღმოჩნდა, რომ სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონში მასწავლებლები ყველა ჩამოთვლილ რესურსზე შედარებით მეტად ფლობენ სრულ ინფორმაციას. ეს ტენდენცია შენარჩუნებულია ექვსივე რესურსთან დაკავშირებით. რაც შეეხება არაინფორმირებულობას, ეს უკანასკნელი იცვლება რეგიონებისა და რესურსების მიხედვით. არაინფორმირებულობის მაღალი მაჩვენებელი, სხვადასხვა რესურსთან დაკავშირებით, დაფიქსირდა აჭარაში, ქვემო ქართლში, კახეთსა და გურიაში.
- ✓ გამოვლინდა, რომ ჩამოთვლილი რესურსებიდან ყველას შედარებით ხშირად სამეგრელო-ზემო სვანეთში იყენებენ, იშვიათად - თბილისში, კახეთში, აჭარასა და ქვემო ქართლში; ჩამოთვლილი რესურსებს არ იყენებენ და არც აპირებენ გამოყენებას გურიაში, თბილისში, ქვემო ქართლში, სამცხე ჯავახეთში, იმერეთში, რაჭა-ლეჩხუმსა და ქვემო სვანეთში.
- ✓ მასწავლებლების მიერ რესურსების შეფასება ხდებოდა შემდეგი კითხვის მეშვეობით: „შეუწყო თუ არა ხელი აღნიშნული რესურსის გამოყენებამ თქვენს პროფესიულ წინსვლას?“ გამოიკვეთა, რომ ყველა კომპონენტმა სამეგრელო-ზემო სვანეთში გამოკითხულ მასწავლებლებს შედარებით მეტად შეუწყო ხელი, ვიდრე სხვა რეგიონებში. თბილისში, ქვემო ქართლში, გურიაში და კახეთში შედარებით ხშირად აფიქსირებენ მოსაზრებას, რომ რესურსებმა ხელი არ შეუწყო მათ პროფესიულ წინსვლას.

მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ გამოცემული დამხმარე მასალები



- ✓ ყველაზე ხშირად მასწავლებლები სარგებლობენ მასალით „მასწავლებელთა დამხმარე სახელმძღვანელო სამ ნაწილად“. ამ მასალით გამოიკითხულ მასწავლებელთა 88.7% სარგებლობს. მათგან ორ მესამედზე მეტი, 65%, ფიქრობს, რომ ამ მასალამ ხელი შეუწყო მის პროფესიულ წინსვლას. ყველაზე იშვიათად მასწავლებლები იყენებდნენ მასალას „მენტორის სახელმძღვანელო“ (22.4% იყენებს), „სკოლის დირექტორის პრაქტიკული გზამკვლევი“ (23% იყენებს), „მაძიებლის სახელმძღვანელო“ (23.9% იყენებს).
- ✓ რაც შეეხება შეფასებას, ის სარგებლობის პროცენტული მაჩვენებლების პირდაპირპროპორციულია, კერძოდ, მასალას „მასწავლებლის სახელმძღვანელო სამ ნაწილად“ ყველაზე დადებითად აფასებენ, ამბობენ რა, რომ აღნიშნულმა მასალამ ხელი შეუწყო მათ პროფესიულ წინსვლას.
- ✓ ჩამოთვლილი მასალებით არმოსარგებლეთა პროცენტული მაჩვენებელი ვარირებს – ზოგიერთ მასალასთან მიმართებით ის გამოიკითხულთა ნახევარს შეადგენს, ზოგიერთ შემთხვევაში – თითქმის 80%-ს. როგორც უკვე აღინიშნა, ყველაზე იშვიათად მასწავლებლები სარგებლობენ „მენტორობის სახელმძღვანელოთი“, „სკოლის დირექტორის პრაქტიკული გზამკვლევი“ და „მაძიებლობის სახელმძღვანელოთი“. აღნიშნული მონაცემები დათვლილია მათგან, ვინც ჩამოთვლილი პროგრამების შესახებ ინფორმირებულია.
- ✓ იმ რესპონდენტთა რაოდენობა, რომლებიც არ აპირებენ ჩამოთვლილი მასალების გამოყენებას, მცირეა, თუმცა ზოგიერთ შემთხვევაში 40%-საც აღწევს. მაგალითად, ყველაზე ხშირად მასწავლებლები არ აპირებენ, გამოიყენონ „სკოლის დირექტორის პრაქტიკული გზამკვლევი“ (40%), „დამხმარე სახელმძღვანელო სკოლის დირექტორებისთვის“ (37.1%), „მაძიებლობის სახელმძღვანელო“ (34.9%), „დანყებიითი საფეხურის მასწავლებლის მეთოდური გზამკვლევი“ (33.2%) და „მენტორობის სახელმძღვანელო“ (30.7%). შედეგები ლოგიკურია იმდენად, რამდენადაც ყველა ჩამოთვლილი მასალა განკუთვნილია სპეციფიკური ტიპის მასწავლებლისთვის (დანყებიითი საფეხურის მასწავლებლისთვის, მაძიებლობა-მენტორობის პროგრამაში ჩართული მასწავლებლისთვის) ან სკოლის დირექტორისთვის.
- ✓ მასწავლებლები, რომლებიც არ აპირებენ, ისარგებლონ ჩამოთვლილთაგან ერთი მასალით მაინც (სულ 3452 რესპონდენტი) აცხადებენ, რომ, პირველ რიგში, არ მიუწვდებათ ხელი რესურსებზე (21.2%) ან არ რჩებათ ამისი დრო (18.2%). დიდ ნაწილს აღნიშნულ კითხვაზე პასუხის გაცემა უჭირს (16.7%).

მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრის მიერ შეთავაზებული მომსახურებები



- ✓ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრის მიერ შეთავაზებული მომსახურებების შესახებ ინფორმირებულობის განსაზღვრისას აღმოჩნდა, რომ ჩამოთვლილი კომპონენტებიდან ყველაზე ხშირად მასწავლებლები მასწავლებელთა პროფესიული განვითარების მოკლევადიანი ტრენინგებით (ზოგადი პროფესიული) სარგებლობენ (62.7% სარგებლობს). ისინი ასევე ხშირად სარგებლობენ მოკლევადიანი საგნობრივი ტრენინგებით (59.3%) და გრძელვადიანი ზოგადი პროფესიული ტრენინგ-კურსებით (52.4%). მასწავლებლები არ სარგებლობენ, თუმცა აპირებენ, ისარგებლონ მასტერკლასების მომსახურებით (69.1%), სემინარებით (63.8%), კონსულტაციებით (63.1%) და კონფერენციებით (62.2%). მასწავლებელთა მეთაედზე მეტი არ აპირებს, ისარგებლოს შემდეგი მომსახურებებით: მასტერკლასები (14.1%), კონფერენციები (12.6%), სემინარები (12%) და კონსულტაციები (10.7%).
- ✓ ის მასწავლებლები, რომლებიც სარგებლობდნენ ჩამოთვლილთაგან ერთი სერვისით მაინც (სულ – 3183 რესპონდენტი), აცხადებენ, რომ მომსახურებებმა მათ პროფესიულ წინსვლას, ხშირ შემთხვევაში, ხელი შეუწყო. ყველაზე მეტად აღნიშნული პასუხი შემდეგ მომსახურებებთან დაკავშირებით დათქმირდა: გრძელვადიანი საგნობრივი ტრენინგკურსები (76.5%), გრძელვადიანი ზოგადი პროფესიული ტრენინგკურსები (75.3%), მოკლევადიანი ზოგადი პროფესიული ტრენინგები (73.9%), მოკლევადიანი საგნობრივი ტრენინგები (73.8%).
- ✓ იმ რესპონდენტთა რაოდენობა, რომლებიც ამბობენ, რომ აღნიშნულმა მომსახურებებმა მათ პროფესიულ წინსვლას ხელი არ შეუწყო, ჯამში არ აღემატება 2.5%-ს. ყველაზე ხშირად ეს პასუხი სემინარებთან (2.3%) და მასტერკლასებთან (2.2%) დაკავშირებით დაასახელეს. მონაცემები დათვლილია იმ მასწავლებელთაგან, რომელთაც უსარგებლიათ/სარგებლობენ აღნიშნული მომსახურებებით.
- ✓ ის მასწავლებლები კი, რომელთაც არ ისარგებლეს ჩამოთვლილი მომსახურებიდან ერთით მაინც (სულ – 1301 რესპონდენტი), ამის მიზეზებად ასახელებენ დროის არქონას (27.1%) და რესურსების არახელმისაწვდომობას (21.8%).
- ✓ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრის მიერ შეთავაზებული მომსახურებებიდან გრძელვადიანი და მოკლევადიანი ტრენინგებით (საგნობრივიცა და ზოგადი პროფესიულიც) ყველაზე ხშირად უსარგებლიათ სამეგრელო-ზემო სვანეთში გამოკითხულ მასწავლებლებს, ხოლო სემინარებით, მასტერ კლასებითა და კონფერენციებით – თბილისში გამოკითხულ მასწავლებლებს. რაც შეეხება იმას, თუ რომელ რეგიონში



ისარგებლეს ჩამოთვლილი სერვისებით ყველაზე იშვიათად, აქ მონაცემები კომპონენტების მიხედვით განსხვავდება. ყველაზე იშვიათად, სხვადასხვა კომპონენტებთან მიმართებით, რესპონდენტებმა გურიაში, კახეთში, სამცხე-ჯავახეთში, აჭარაში ისარგებლეს.

- ✓ ზოგიერთი რესპონდენტი აფიქსირებდა პასუხს, რომ არ აპირებს მოცემული სერვისით სარგებლობას. ასეთი პასუხები ოთხ კომპონენტში თბილისსა და ქვემო ქართლში იყო შედარებით ხშირი (კომპონენტები: გრძელვადიანი ზოგადი პროფესიული ტრენინგკურსები, გრძელვადიანი საგნობრივი ტრენინგკურსები, მოკლევადიანი ზოგადი პროფესიული ტრენინგები, მოკლევადიანი საგნობრივი ტრენინგები), ხოლო ოთხ კომპონენტში – სამეგრელო-ზემო სვანეთში (კომპონენტები: მასტერ კლასები, სემინარები, კონფერენციები, კონსულტაციები).
- ✓ რაც შეეხება შეფასებას, შეიძლება ითქვას, რომ ყველა ჩამოთვლილ კომპონენტს, სხვა რეგიონებთან შედარებით, ყველაზე დადებითად სამეგრელო-ზემო სვანეთში აფასებენ. რაც შეეხება უარყოფით შეფასებას, ანუ მოსაზრებას, რომ აღნიშნულმა სერვისმა ხელი არ შეუწყო რესპონდენტის პროფესიულ წინსვლას, ყველაზე ხშირად ეს პასუხი თბილისსა და ქვემო ქართლში სახელდება, თუმცა გარკვეულ კომპონენტებში ეს პასუხი სამცხე-ჯავახეთში (კომპონენტები: გრძელვადიანი ზოგადი პროფესიული ტრენინგ-კურსები, სემინარები), გურიაში (კონსულტაციები), იმერეთში, რაჭა-ლეჩხუმსა და ქვემო სვანეთში (კონფერენციები) ფიქსირდება.

მასწავლებელთა ზოგადი პროფესიული უნარების თვითშეფასება

- ✓ კვლევის მიზნებიდან გამომდინარე, მასწავლებლებს უნდა შეეფასებინათ საკუთარი ზოგადი პროფესიული უნარები. ისინი დაყოფილი იყო კომპონენტებად და თითოეული მათგანში მასწავლებლებს უნდა შეეფასებინათ საკუთარი კომპეტენცია (9-ქულიან სკალაზე ქულის დანერით).
- ✓ აღმოჩნდა, რომ ჩამოთვლილი 24 კომპონენტიდან 21-ში მასწავლებლები საკუთარ კომპეტენციას უმაღლესი ქულებით აფასებენ. სტატისტიკური ანალიზისას გამოვლინდა, რომ თითოეული ჩამოთვლილი კომპონენტის შეფასების საშუალო ქულა (MEAN) არ არის 7-ზე ნაკლები. თვალსაჩინოებისთვის 9 ქულიანი სკალა დაიყო სამ ძირითად შეფასებად, სადაც 8-9 ქულა აღნიშნავს მაღალ შეფასებას, 6-7 ქულა – საშუალოს, ხოლო 1-5 – დაბალს (ამგვარი დაყოფა გამოიწვია რესპონდენტთა მაღალმა თვითშეფასებამ). მასწავლებელთა სამი მეოთხედი საკუთარ კომპეტენციას უმაღლესი ქულით (MEAN > 8-ზე) აფასებს შემდეგ



კომპონენტებში: ეფექტური კომუნიკაციის დამყარება მოსწავლეებთან, მშობლებთან, კოლეგებთან; სასწავლო პროცესის დაგეგმვა - თემატური და გაკვეთილის გეგმების შემუშავება და განვითარება; მოსწავლეთა უსაფრთხოების (ფიზიკური, ემოციური და ინტელექტუალური) უზრუნველყოფა. სხვადასხვა საგნისა და საფეხურის მასწავლებლებისთვის აღნიშნული შედეგები მხოლოდ მცირედით განსხვავდება.

- ✓ ისეთ პედაგოგთა რაოდენობა, რომლებმაც უმაღლესი ქულებით (8 ან 9) არ შეაფასეს საკუთარი კომპეტენცია, არ აღემატება გამოკითხულთა ნახევარს და ზოგიერთ კომპონენტთან მიმართებაში, მხოლოდ 17%-ს შეადგენს. გამოიკვეთა, რომ ყველაზე პრობლემური მასწავლებლებისთვის სამი ძირითადი კომპეტენციაა: ა) პედაგოგიური კვლევების დაგეგმვა, ჩატარება, ინტერვენციების განხორციელება, შეფასება; ბ) მულტიკულურულ კლასში სწავლისა და სწავლების ეფექტური სტრატეგიების ცოდნა და გამოყენება და გ) ინკლუზიური განათლების ძირითადი პრინციპები.
- ✓ როგორც აღმოჩნდა, ზოგადი პროფესიული უნარების თვითშეფასების მხრივ რეგიონების მონაცემები ერთმანეთისგან თითქმის არ განსხვავდება. საშუალოების შედარების საფუძველზე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ სურათი მსგავსია ყველა რეგიონში. შეინიშნება მხოლოდ მცირე განსხვავებები.
- ✓ თვითშეფასებასთან ერთად, მასწავლებლებს უნდა უნდა დაესახელებინათ სამი საშუალება, რომლებიც მნიშვნელოვანი იქნებოდა თითოეულ ჩამოთვლილ კომპონენტში კომპეტენციის გაზრდისთვის. როგორც აღმოჩნდა, მასწავლებლები ყველაზე მნიშვნელოვან საშუალებებად მიიჩნევენ დამხმარე სახელმძღვანელოებს/ლექსიკონებს/პერიოდულ ბეჭდურ გამოცემებსა და ტრენინგებს. ჩამოთვლილ ოცდაოთხივე კომპონენტში სწორედ ამ საშუალებებს აქვთ ყველაზე მაღალი პროცენტი. თითქმის ყველა კომპონენტში აღნიშნული ორი საშუალების გარდა, ხშირად გვხვდება პასუხი - „პროფესიული პრაქტიკის შესწავლა და გაზიარება“. ამის შემდეგ მასწავლებელთა მეთაედზე მეტი მიუთითებს დამხმარე ელექტრონული რესურსების საჭიროებაზეც. დაახლოებით ამდენივე მიუთითებს სასწავლო ვიდეომასალის მნიშვნელობაზეც. ყველაზე არაპოპულარული საშუალებები კი აკადემიური საუნივერსიტეტო კურსები და კვლევებში მონაწილეობაა.
- ✓ სხვადასხვა საგნისა და საფეხურის მასწავლებლებისთვის აღნიშნული შედეგები მხოლოდ მცირედით განსხვავდება. მსგავსი ტენდენციაა რეგიონებისა და სერტიფიცირების სტატუსის მიხედვითაც.

მასწავლებელთა პროფესიული უნარებისა და საგნობრივი კომპეტენციების თვითშეფასება

- ✓ როგორც მონაცემები ცხადყოფს, ყველა საგნის მასწავლებლები მაღალი ქულებით აფასებენ საკუთარ კომპეტენციას. საერთო ჯამში, იმ მასწავლებელთა რაოდენობა, რომლებიც 1-5 ქულით აფასებენ საკუთარ კომპეტენციას რომელიმე კომპონენტში, არ აღემატება 7%-ს, ხოლო იმ მასწავლებელთა რაოდენობა, რომლებიც 6-7 ქულით აფასებენ კომპეტენციას რომელიმე კომპონენტში, არ აღემატება 30%-ს. ეს ნიშნავს, რომ მასწავლებელთა ორ მესამედზე მეტი მიიჩნევს, რომ მათი კომპეტენცია მაღალია ნებისმიერ კომპონენტში. რასაკვირველია, შეფასებები ვარირებს საგნებისა და კომპონენტების მიხედვით.
- ✓ აღმოჩნდა, რომ იმ მასწავლებელთა რაოდენობა, რომლებიც 6-7 ქულით აფასებენ საკუთარ კომპეტენციას, ყველაზე მეტი ფიზიკის (30%), ქიმიის (29.7%), სახვითი და გამოყენებითი ხელოვნებისა (29.2%) და დანყებითი საფეხურის ბუნებისმეტყველების (29%) მასწავლებლებს შორისაა. იმ მასწავლებელთა რაოდენობა კი, რომლებიც 1-5 ქულით აფასებენ საკუთარ კომპეტენციას, ყველაზე მეტი სამოქალაქო განათლების (6.6%), დანყებითი საფეხურის ბუნებისმეტყველების (5.9%) და ფიზიკური აღზრდისა და სპორტის (5.7%) მასწავლებლებს შორისაა.
- ✓ ამასთან, იმ მასწავლებელთა რაოდენობა, რომლებიც 6-7 ქულით აფასებენ საკუთარ კომპეტენციას, ყველაზე დაბალი მუსიკის (16.9%), ქართული ენისა და ლიტერატურის (17.8%) და დანყებითი საფეხურის ქართული ენისა და ლიტერატურის (18.5%) მასწავლებლებს შორისაა. იმ მასწავლებელთა რაოდენობა კი, რომლებიც 1-5 ქულით აფასებენ საკუთარ კომპეტენციას, ყველაზე დაბალი ქართული ენისა და ლიტერატურის (1.6%) და დანყებითი საფეხურის ქართული ენისა და ლიტერატურის (2.6%) მასწავლებლებს შორისაა.
- ✓ საერთო ჯამში, იმ მასწავლებელთა რაოდენობა, რომლებმაც 8 ან 9 ქულით არ შეაფასეს საკუთარი კომპეტენცია, არ აღემატება 35%-ს; შესაბამისად, მათი რაოდენობა მესამედზე მეტია. იმ მასწავლებელთა რაოდენობა, რომლებიც 8 ან 9 ქულით არ აფასებენ საკუთარ კომპეტენციას, ყველაზე მაღალი დანყებითი საფეხურის ბუნებისმეტყველების (34.9%), ფიზიკის (34.9%), ქიმიის (34.1%), სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების (33.6%) და სამოქალაქო განათლების (33.3%) მასწავლებლებს შორისაა. იმ მასწავლებელთა რაოდენობა კი, რომლებიც 8 ან 9 ქულით არ აფასებენ საკუთარ კომპეტენციას, ყველაზე დაბალი ქართული ენისა და ლიტერატურის (19.4%), დანყებითი კლასების ქართული ენისა და ლიტერატურის (21.1%) და მუსიკის (21.2%) მასწავლებლებს შორისაა.



- ✓ რაც შეეხება იმ საშუალებებს, რომელთა გამოყენებაც მასწავლებლებს კომპეტენციის ამალღებაში დაეხმარება, თითქმის ყველა საგანში ხაზგასმულია დამხმარე სახელმძღვანელოებისა და ტრენინგების მნიშვნელობა. ამ საშუალებების შემდეგ, როგორც წესი, ყველაზე მნიშვნელოვანი დამხმარე ელექტრონული რესურსები ან პროფესიული პრაქტიკის შესწავლა და გაზიარებაა. ზოგიერთ კომპონენტში მასწავლებლები ზემოთ ჩამოთვლილ საშუალებებზე მეტ მნიშვნელობას ანიჭებენ ვიდრე გაკვეთილებს. კვლევებში მონაწილეობასა და აკადემიურ საუნივერსიტეტო კურსებს რესპონდენტები იშვიათად ასახელებენ კომპეტენციის გაზრდისთვის სასურველ საშუალებებად.
- ✓ საგნების მიხედვით მასწავლებელთა საჭიროებები ასე ნაწილდება:
 - **ქართული ენა და ლიტერატურა (I-VI კლასები)** – დანყებითი საფეხურის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლები ყველაზე ხშირად მაღალი (8–9) ქულებით აფასებენ კითხვის და ზეპირი მეტყველების უნარებს, შედარებით იშვიათად – თითოეული მოსწავლის ნამუშევრების ანალიზის საფუძველზე ტიპური შეცდომების ამოცნობას. ამ კომპონენტთან დაკავშირებით მათ კომპეტენციის გაზრდისთვის მნიშვნელოვან საშუალებად მიაჩნიათ დამხმარე სახელმძღვანელოები (69.9%), ტრენინგები (67.2%) და პროფესიული პრაქტიკის შესწავლა და გაზიარება (52.6%).
 - **მათემატიკა (I-VI კლასები)** – დანყებითი საფეხურის მათემატიკის მასწავლებლები მაღალი ქულებით აფასებენ როგორც პროფესიულ უნარ–ჩვევებს, ასევე საგნობრივ ცოდნას. პროფესიული უნარ–ჩვევებიდან შედარებით იშვიათად იმსახურებდა მაღალ შეფასებას „განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების ერთმანეთისგან ფუნქციურად გამიჯვნა და თითოეულის შესაბამისი სტრატეგიების გამოყენება“. ამ კომპეტენციის გაზრდისთვის რესპონდენტებს, რომელთაც აღნიშნული კომპონენტი დაბალი ან საშუალო ქულებით შეაფასეს, ურჩევნიათ, გამოიყენონ დამხმარე სახელმძღვანელოები (78.9%), ტრენინგები (66.4%) და პროფესიული პრაქტიკის შესწავლა და გაზიარება (48.3%). საგნობრივი ცოდნიდან შედარებით დაბალი შეფასებები ჰქონდა კომპონენტს „მონაცემთა ანალიზი, ალბათობა და სტატისტიკა“. ამ კომპონენტთან დაკავშირებით მასწავლებლებს ურჩევნიათ, გამოიყენონ დამხმარე სახელმძღვანელოები (76.5%), ტრენინგები (52.6%), პროფესიული პრაქტიკის შესწავლა და გაზიარება (44.3%) და დამხმარე ელექტრონული რესურსები (41.2%).



- ბუნებისმეტყველება (I-VI კლასები)** – ბუნებისმეტყველების მასწავლებლები შედარებით დაბალი ქულებით აფასებენ საკუთარ კომპეტენციებს. პროფესიული უნარ-ჩვევებიდან ყველაზე იშვიათად ისინი კომპონენტს - „ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენება სწავლების პროცესში“ - აფასებენ მაღალი ქულებით. მათგან 71.8%-ს ამ კომპონენტში კომპეტენციის ზრდისთვის ურჩევნია გამოიყენოს დამხმარე სახელმძღვანელოები. მსგავსია პროცენტები ტრენინგებსა და დამხმარე ელექტრონულ რესურსებთან დაკავშირებით. პროფესიული ცოდნიდან ნაკლები ქულები აქვთ კომპონენტებს: „ელექტრული დენი“, „მაგნიტი“, „სხეულთა მოძრაობა და ურთიერთქმედება“, „მექანიკური რხევები და ტალღები“. სამივე კომპონენტის შესახებ მასწავლებელთა 80%-ზე მეტი აღნიშნავს, რომ ურჩევნიათ გამოიყენონ დამხმარე სახელმძღვანელოები. პროცენტები თითქმის თანაბრად ნაწილდება ტრენინგებსა და დამხმარე ელექტრონულ მასალას შორის.
- ქართული ენა და ლიტერატურა** – მაღალ თვითშეფასებას ამჟღავნებენ ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლებიც. მათი აბსოლუტური უმრავლესობა მაღალი ქულებით აფასებს საკუთარ კომპეტენციას კითხვის, ზეპირმეტყველების და წერის კომპონენტებში. თითქმის 90% მაღალი ქულებით აფასებს საკუთარ კომპეტენციას საგნობრივი ცოდნის ყველა კომპონენტში. ყველაზე ნაკლებად მაღალი ქულებით აფასებენ კომპონენტს „შეფასების კომპონენტების გათვალისწინებით მრავალფეროვანი კრიტერიუმებისა და ფორმების შერჩევა-შემუშავება“. ამ კომპონენტში კომპეტენციის ამაღლება რესპონდენტებს დამხმარე სახელმძღვანელოებითა (67.3%) და დამხმარე ელექტრონული რესურსებით (66.3%) ურჩევნიათ.
- მათემატიკა** – მათემატიკის მასწავლებელთა სამ მეოთხედზე მეტი მაღალი ქულით აფასებს საკუთარ კომპეტენციას ყველა ჩამოთვლილ პროფესიულ უნარ-ჩვევაში. შედარებით დაბალი მაჩვენებელი მხოლოდ კომპონენტს - „მათემატიკის სხვადასხვა მიმართულებებს შორის და მათემატიკასა და სხვა დისციპლინებს შორის კავშირის დამყარება“ - აქვს. ამ კომპონენტში გამოკითხულებს ურჩევნიათ, კომპეტენცია აიმაღლონ დამხმარე სახელმძღვანელოების (83.9%) და ტრენინგების (64.1%) მეშვეობით. რაც შეეხება საგნობრივ ცოდნას, გამოკითხულთა 90%-ზე მეტი მაღალი ქულებით (8-9 ქულა) აფასებს საკუთარ კომპეტენციას ჩამოთვლილთა უმეტესობაში, შედარებით ნაკლები ქულებით აფასებენ კომპონენტებს „კომპლექსური რიცხვები“, „გრაფთა თეორიის ელემენტები“ და „ინტეგრალი“. სამივე კომპონენტთან დაკავშირებით საშუალო ქულით შემფასებელ



მასწავლებელთა თითქმის 90%-ს ურჩევნია კომპეტენცია ამაღლოს დამხმარე სახელმძღვანელოების, ტრენინგებისა და დამხმარე ელექტრონული რესურსების მეშვეობით.

- უცხო ენები** – უცხო ენების მასწავლებლების ყველაზე დიდი ნაწილი მაღალი ქულებით აფასებს საკუთარ კომპეტენციას კითხვის კომპონენტში. შედარებით კრიტიკულები ისინი ორ კომპონენტთან დაკავშირებით არიან, ესენია: „ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენება უცხოურ ენაში, ელექტრონული რესურსების გამოყენება და საჭიროების შემთხვევაში თავად შექმნა“ და „უცხოური ენების სწავლებისას ენების ერთიანი ევროპული სარეკომენდაციო ჩარჩო-დოკუმენტის მოთხოვნების გათვალისწინება“. ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენებასთან დაკავშირებით მასწავლებლები უპირატესობას ანიჭებენ ტრენინგებს (60.4%), დამხმარე ელექტრონულ რესურსებსა (55.7%) და დამხმარე სახელმძღვანელოებს (55.4%), ხოლო ერთიან ევროპულ სარეკომენდაციო ჩარჩოსთან მიმართებით – დამხმარე სახელმძღვანელოებსა (64.7%) და ტრენინგებს (62.1%).
- ფიზიკა** – ფიზიკის მასწავლებლები შედარებით იშვიათად ახასიათებენ საკუთარ კომპეტენციებს მაღალი ქულებით, ვიდრე ზემოთ განხილული საგნების მასწავლებლები. ისინი შედარებით დაბალი ქულებით აფასებენ ისეთ კომპეტენციებს, როგორებიცაა: „ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენება ფიზიკაში, ელექტრონული რესურსების გამოყენება და საჭიროების შემთხვევაში თავად შექმნა“ და „სტრუქტურების და პროცესების მოდელირება და გამოყენება“, ხოლო საგნობრივი კომპეტენციებიდან – „მათემატიკური აპარატის ფლობა“. სამივე კომპონენტთან დაკავშირებით მათ ურჩევნიათ გამოიყენონ დამხმარე სახელმძღვანელოები, ტრენინგები და დამხმარე ელექტრონული რესურსები.
- ბიოლოგია** – საკუთარი კომპეტენციის შეფასებისას პროფესიული უნარ-ჩვევების კუთხით გამოიკვეთა, რომ რესპონდენტები ყველაზე მეტად კომპეტენტურები „თითოეული მოსწავლის შეფასებისას კორექტული და ობიექტური კომენტარებისა და რეკომენდაციების გამოყენებაში“ არიან, ხოლო შედარებით იშვიათად აფასებენ მაღალი ქულებით ისეთ კრიტერიუმს, როგორიცაა „ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენება ბიოლოგიის სწავლების პროცესში“, ხოლო საგნობრივში – „მათემატიკური აპარატი“. ორივე კომპეტენციის ამაღლება მასწავლებლებს დამხმარე სახელმძღვანელოების, ტრენინგებისა და დამხმარე ელექტრონული რესურსების მეშვეობით სურთ.



- ქიმია** – პროფესიული უნარ-ჩვევების შეფასებისას ქიმიის მასწავლებლები ყველაზე იშვიათად მაღალი ქულებით აფასებენ კომპონენტს „ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენება სასწავლო პროცესში“. ამ კომპონენტში კომპეტენციის ამაღლებისთვის მათ სურთ გამოიყენონ ტრენინგები (63.2%), დამხმარე სახელმძღვანელოები (60.1%), დამხმარე ელექტრონული რესურსები (54.2%).
- გეოგრაფია** – გეოგრაფიის მასწავლებლები ყველაზე კრიტიკულად აფასებენ საკუთარ კომპეტენციას შემდეგ კომპონენტში: „ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენება გეოგრაფიაში, ელექტრონული რესურსების გამოყენება და საჭიროების შემთხვევაში თავად შექმნა“. ამ კომპონენტთან მიმართებით მათ სურთ გამოიყენონ დამხმარე ელექტრონული რესურსები (59.3%), ტრენინგები (56.9%) და დამხმარე სახელმძღვანელოები (54.9%).
- ისტორია** – ისტორიის მასწავლებლები ყველაზე იშვიათად მაღალი ქულებით აფასებენ საკუთარ კომპეტენციას შემდეგ კომპონენტში: „ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენება ისტორიის სწავლებისას“, ხოლო საგნობრივი ცოდნიდან საკითხს - „დასავლეთ ევროპა, ჩრდილოეთ ამერიკა და რუსეთი ახალ დროში (XVI – XIX ს. ს.)“. ორივე კომპონენტში კომპეტენციის ამაღლება ისტორიის მასწავლებლებს (მათ, ვინც მაღალი ქულებით არ შეაფასეს აღნიშნული კომპონენტები) ურჩევნიათ დამხმარე სახელმძღვანელოებისა (57.7%) და ტრენინგების (54.2%) მეშვეობით.
- სამოქალაქო განათლება** – სამოქალაქო განათლების მასწავლებლები შედარებით იშვიათად უწერენ მაღალ ქულებს საკუთარ კომპეტენციებს როგორც პროფესიულ უნარ-ჩვევებში, ასევე საგნობრივ ცოდნაში. ყველაზე იშვიათად მაღალი ქულებით ისინი აფასებენ საკუთარ კომპეტენციას საკითხში „ეკონომიკის ძირითადი ცნებები, კატეგორიები და თეორიები“. ამ კომპონენტთან მიმართებით მათ კომპეტენციის ამაღლება დამხმარე სახელმძღვანელოების (77.7%) და ტრენინგების (59.6%) მეშვეობით სურთ.
- მუსიკა** – საკუთარ კომპეტენციებს, როგორც პროფესიულ უნარ-ჩვევებს, ასე საგნობრივ ცოდნას, მუსიკის მასწავლებლები მაღალი ქულებით აფასებენ. მუსიკის მასწავლებლებს შორის კომპეტენციის გაზრდისთვის მნიშვნელოვან კომპონენტებად მიიჩნევა დამხმარე სახელმძღვანელოები, ტრენინგები და სასწავლო ვიდეომასალა.
- სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება** – საკუთარ კომპეტენციებს, როგორც პროფესიულ უნარ-ჩვევებს, ისე საგნობრივ ცოდნას, რესპონდენტები მაღალი ქულებით აფასებენ.

შედარებით დაბალი შეფასება ისეთ საგნობრივ კომპეტენციას აქვს, როგორცაა „სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების უახლესი კონცეფციები და ფორმები“. ამ კომპონენტში კომპეტენციის ასამაღლებლად მასწავლებლებს სურთ, გამოიყენონ დამხმარე სახელმძღვანელოები (70.4%), ტრენინგები (64.9%) და დამხმარე ელექტრონული რესურსები (47.1%).

- **ფიზიკური აღზრდა და სპორტი** – საკუთარ კომპეტენციებს, როგორც პროფესიულ უნარ-ჩვევებს, ასე საგნობრივ ცოდნას, რესპონდენტები მაღალი ქულებით აფასებენ. შედარებით დაბალი შეფასება ისეთ საგნობრივ კომპეტენციას აქვს, როგორცაა „ფიზიკური აღზრდის მეთოდების სტრუქტურული საფუძვლები“. ამ კომპეტენციასთან მიმართებით მასწავლებლებს ურჩევნიათ გამოიყენონ დამხმარე სახელმძღვანელოები (63.7%) და ტრენინგები (58.7%).

I. მეთოდოლოგიის აღწერა

1.1. კვლევის მიზანი და ამოცანები

კვლევის მიზანია სსიპ – მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ განხორციელებული საქმიანობის შეფასება და საგნობრივი მიმართულებებით მასწავლებელთა საჭიროებების შესწავლა და გაანალიზება.

კვლევის ძირითადი ამოცანებია:

- ✓ მასწავლებელთა პროფესიული სტანდარტებისა და სხვა საკანონმდებლო რეგულაციების შესახებ მასწავლებელთა ინფორმირებულობის ხარისხის განსაზღვრა და მათი შეფასება;
- ✓ მასწავლებელთა პროფესიული განვითარებისთვის საჭირო რესურსების შეფასება, მათ შესახებ ინფორმირებულობის განსაზღვრა და მასწავლებელთა მიერ მათი გამოყენების სიხშირის გაზომვა;
- ✓ სსიპ – მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ განხორციელებული პროგრამების შეფასება, მათ შესახებ ინფორმირებულობის განსაზღვრა და მათში მასწავლებლების ჩართულობის ხარისხის გაზომვა;
- ✓ სსიპ – მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ შემოთავაზებული მომსახურებების შეფასება, მათ შესახებ ინფორმირებულობის განსაზღვრა და მათში მასწავლებლების ჩართულობის ხარისხის გაზომვა;
- ✓ სსიპ – მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ განხორციელებულ პროექტებსა და პროგრამებში ჩართულობის მიმართ მასწავლებელთა მოლოდინების, მზაობის და ნდობის ხარისხის განსაზღვრა;
- ✓ მასწავლებელთა მიერ მათი ზოგადი პროფესიული უნარების, საგნობრივი კომპეტენციებისა და ცოდნის თვითშეფასების ანალიზი და ძირითადი ტენდენციების აღწერა;
- ✓ საგნობრივი მიმართულებებით მასწავლებელთა საჭიროებების შესწავლა და გაანალიზება.

აღნიშნული მიზნის რეალიზაციისათვის ჩატარდა თვისებრივი და რაოდენობრივი სოციოლოგიური გამოკვლევა.

1.2. თვისებრივი კვლევის მეთოდოლოგიის აღწერა

თვისებრივი კვლევა განხორციელდა ფოკუსჯგუფის (ჯგუფური დისკუსიის) მეთოდის გამოყენებით. ფოკუსჯგუფის მიზანი იყო იმ ვალიდური ინდიკატორების, კრიტერიუმების იდენტიფიცირება,



რომელთა ბაზისზეც შეიქმნებოდა ადეკვატური კითხვარის დიზაინი, ამდენად, ჯგუფურ დისკუსიებს ჰქონდა არა დამოუკიდებელი, არამედ დამხმარე ფუნქცია კითხვარის შესადგენად. კვლევის პირველ ეტაპზე ჩატარდა რვა ფოკუსჯგუფი, რაც კვლევის მოსამზადებელ ეტაპს წარმოადგენდა. კვლევის ინსტრუმენტად გამოიყენებოდა ნახევრად სტრუქტურირებული კითხვარი (გაიდლაინი).

თვისებრივი კვლევის ამოცანებია:

- ✓ საგნობრივი ჯგუფების მიხედვით მასწავლებელთა პროფესიული განვითარების საჭიროებების შესწავლა;
- ✓ მასწავლებელთა შეფასებებისა და დამოკიდებულებების გამოვლენა სსიპ - მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ხელშეწყობის მიზნით განხორციელებული სერვისების მიმართ.

კვლევის სამიზნე ჯგუფი შედგებოდა სხვადასხვა საგნის მასწავლებლებისგან, განათლების ექსპერტებისგან და სსიპ - მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრის წარმომადგენლებისგან.

სულ ჩატარდა 8 ჯგუფური დისკუსია შემდეგი შემადგენლობით (მასწავლებელთა შერჩევის დამატებითი კრიტერიუმები იყო დედაქალაქის სხვადასხვა სკოლის, სხვადასხვა სქესის, ასაკობრივი ჯგუფის წარმომადგენლობა):

1. დანყებითი კლასების და ბუნებისმეტყველების (I-VI კლასი) მასწავლებლები;
2. ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლები;
3. მათემატიკის მასწავლებლები;
4. სამოქალაქო განათლების, ისტორიისა და გეოგრაფიის მასწავლებლები;
5. ბიოლოგიის, ქიმიისა და ფიზიკის მასწავლებლები;
6. უცხო ენების მასწავლებლები;
7. მუსიკის ხელოვნებისა და სპორტის მასწავლებლები;
8. განათლების ექსპერტები და სსიპ- მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრის წარმომადგენლები.

დისკუსიის ინსტრუმენტად გამოიყენებოდა მოდერატორის გზამკვლევი, რომელიც შედგებოდა იმ 15-20 საკვანძო საკითხისგან, რომელთა განხილვაც უნდა მომხდარიყო სხვადასხვა ჯგუფთან. დისკუსიის ხანგრძლივობა ვარიირებდა 1.5-2 საათს შორის. ჯგუფური დისკუსიები ჩაინერა როგორც



ვიდეო, ისე აუდიო სახით, რის შესახებაც მონაწილეებს ჰქონდათ შესაბამისი ინფორმაცია. თითოეული ჩანაწერის გაშიფრვის შემდეგ გაკეთდა დისკუსიების ტრანსკრიპტები.

ჯგუფური დისკუსიების შედეგების საფუძველზე შემუშავდა რაოდენობრივი კვლევის კითხვარი. ჯგუფური დისკუსიის შედეგები ასევე გამოყენებულია რაოდენობრივი კვლევის მიგნებების ინტერპრეტაციისათვის დამატებით მასალად.

1.3. რაოდენობრივი კვლევის მეთოდოლოგიის აღწერა

რაოდენობრივი კვლევა ჩატარდა ანკეტირების მეთოდის გამოყენებით. რაოდენობრივ კვლევას ორი მთავარი ამოცანა ჰქონდა:

- ✓ სსიპ-მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრს მიერ პედაგოგებისთვის შეთავაზებული სხვადასხვა სახის სერვისების ეფექტურობის შეფასება (საგნობრივი ჯგუფების, რეგიონებისა და რაიონების მიხედვით).
- ✓ საგნობრივი ჯგუფების მიხედვით მასწავლებელთა პროფესიული განვითარების საჭიროებების განსაზღვრა (საქართველოს მასშტაბით რეგიონებისა და რაიონების მიხედვით).

შერჩევის აღწერა

- *კვლევის სამიზნე ჯგუფი*: სახელმწიფო/კერძო სკოლების მასწავლებლები; აღნიშნული ჯგუფი ჩაითვლება როგორც დამოუკიდებელი გენერალური ერთობლიობა. ამდენად, რეპრეზენტატული შერჩევა აიკეთა სამიზნე ჯგუფთან მიმართებით;
- *გამოკვლევის ტიპი*: ეროვნული შერჩევის რაოდენობრივი კვლევა;
- *კვლევის მეთოდი*: ანკეტირება;
- *კვლევის ინსტრუმენტი*: კითხვარი;
- *შერჩევის ჩარჩო*: საქართველოს სახელმწიფო/კერძო სკოლების მასწავლებლები;
- *შერჩევის მოდელი*: ორსაფეხურიანი სტრატეგიული შემთხვევითი შერჩევა¹;
- *შერჩევის ზომა*: 6013 რესპონდენტი;

¹ შერჩევა დაფუძნდა საქართველოს სკოლებისა და მასწავლებელთა რაოდენობის შესახებ სტატისტიკურ მონაცემებს (მონაცემები აღებულია განათლებისა და მეცნიერების სამინისტროდან).



ინტერვიუების განაწილება საგნების მიხედვით იხ. ცხრილში №1.

ცხრილი №1

საგანი	ინტერვიუ
ბიოლოგია	336
ქიმია	293
ისტორია	470
გეოგრაფია	321
ფიზიკა	280
მათემატიკა	526
ქართული ენა და ლიტერატურა	603
მათემატიკა (I-VI კლასები)	949
ქართული ენა და ლიტერატურა (I-VI კლასები)	982
ბუნებისმეტყველება (I-VI კლასები)	809
მუსიკა	300
სამოქალაქო განათლება	303
სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება	347
სპორტი	317
უცხო ენა	998
სულ	7834
ცდომილება	1.1%

აღნიშნული განაწილება უზრუნველყოფს რეპრეზენტატულ შერჩევას საგნებთან მიმართებით (შერჩევის ცდომილება – მაქსიმუმ 5%). ყველა საგნის ერთობლიობასთან მიმართებაში შერჩევის მოდელი უზრუნველყოფს შეფასების 1,2%-იან ცდომილებას.

თითოეულ რეგიონში ჩასატარებელი ინტერვიუების რაოდენობა განისაზღვრება მასში პედაგოგთა რაოდენობის პროპორციულად, თითოეულ შერჩეულ სკოლაში გამოიკითხა საშუალოდ 25 პედაგოგი (იხ. ცხრილი №2).

ცხრილი №2

რეგიონი	ინტერვიუ
აჭარა	640
გურია	238
თბილისი	1266
კახეთი	495
მცხეთა-მთიანეთი	182
იმერეთი, რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი	1025
სამეგრელო, ზემო სვანეთი	606
სამცხე-ჯავახეთი	426
ქვემო ქართლი	685
შიდა ქართლი	450
სულ	6430
ცდომილება	1.2%



საწყის ეტაპზე შერჩევა რეგიონებისათვის გადანაწილდა საგნების მიხედვით მასწავლებელთა რაოდენობის პროპორციულად.

- ✓ პირველადი შერჩევის წერტილად (PSU) აღებული იქნა სკოლები (კერძო ან საჯარო);
- ✓ მეორადი შერჩევის წერტილი (SSU) იყო მასწავლებლები.
- ✓ პირველადი შერჩევის წერტილები განისაზღვრა PPS (Probability Proportional to Size) მეთოდით;

თითოეულ შერჩეულ სკოლაში საშუალოდ 25 მასწავლებელი ამოირჩა სისტემური შემთხვევითი შერჩევის (Systemic Random Sampling) პრინციპის გამოყენებით. კერძოდ, ინტერვიუერი ვალდებული იყო, მასწავლებელთა სიიდან საგნების მიხედვით ამოერჩია პირველი შემთხვევითი ციფრისა და ბიჯის (ინტერვალის) გამოყენებით. თითოეულ სკოლაში ამ პრინციპით შეირჩა რესპონდენტების წინასწარ დადგენილი რაოდენობა, რაც განისაზღვრა სკოლის ზომის და თითოეულ საგნის მასწავლებელთა რაოდენობის შესაბამისად.

შერჩევის მოდელის დიზაინის პარალელურად მოხდა კვლევის ინსტრუმენტის – კითხვარის შემუშავება. კითხვარი მოიცავდა ფორმალიზებულ, ნახევრად ფორმალიზებულ და ღია კითხვებს და შედგებოდა შემდეგი ბლოკებისგან:

- A. მასწავლებელთა პროფესიული სტანდარტები და სხვა საკანონმდებლო რეგულაციები: ინფორმირებულობა და შეფასება;
- B. სსიპ – მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრის მიერ განხორციელებული პროგრამები: ინფორმირებულობა, ჩართულობა და შეფასება;
- C. მასწავლებელთა პროფესიული განვითარებისთვის საჭირო რესურსები: ინფორმირებულობა, ხელმისაწვდომობა და შეფასება;
- D. სსიპ – მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრის მიერ შემოთავაზებული მომსახურება: ინფორმირებულობა, ჩართულობა და შეფასება;
- E. მასწავლებელთა პროფესიული განვითარების საჭიროებების შეფასება;
- F. ზოგადი პროფესიული უნარების თვითშეფასება;
- G. საგნობრივი კონპეტენციებისა და ცოდნის თვითშეფასება;
- H. სოციო-დემოგრაფიული პროფილი.

კითხვარების შემუშავების შემდეგ მოხდა ინტერვიუერების გადამზადება და მათთვის კითხვარის სპეციფიკის გაცნობა. ველი მიმდინარეობდა 20 დღის განმავლობაში.

1.4. მონაცემების დამუშავება და ანალიზი


საველე სამუშაოების შედეგად შევსებული კითხვარების კოდირებისა და მონაცემების კომპიუტერში შეტანის შემდეგ მოხდა ფაილის “განმენდა” და მონაცემები დამუშავდა SPSS კომპიუტერული პროგრამის საშუალებით (13.0 ვერსია). მოხდა მონაცემების განმენდა, შენონვა და გასუფთავება. დამუშავებისა და ანალიზისას გამოყენებული იქნა უნივარიაციული, ბივარიაციული და მულტივარიაციული ანალიზის ისეთი მეთოდები, როგორებიცაა: სიხშირული (ერთგანზომილებიანი) განაწილება, ცენტრალური ტენდენციის მაჩვენებლები, კორელაციური ანალიზი, რეგრესია და სხვ.



II. მასწავლებლების რაოდენობა

რაიონში/რეგიონში საჭირო/არსებული მასწავლებლების რაოდენობა წარმოადგენს მოცემული რაიონის/რეგიონის სკოლებში საჭირო/არსებული მასწავლებლების ჯამს. დღეს საქართველოს 2,367 სკოლაში პროგრამით გათვალისწინებულ აუცილებელ საგნებს ასწავლის 64,890 მასწავლებელი. მასწავლებლების რაოდენობა რეგიონების და საგნების მიხედვით მოცემულია დიაგრამებზე №1, №2, ხოლო მასწავლებელთა რაოდენობა ცალკეულ საგნებში რაიონების მიხედვით მოცემულია ცხრილში №3.


დიაგრამა №1





დიაგრამა №2

მასწავლებელთა რაოდენობა საგნების მიხედვით





ცხრილი №3

რაიონი	ქართული ენა და ლიტერატურა	მშობლიური ენა	ქიზია	მათემატიკა	ფიზიკა	ბიოლოგია	გეოგრაფია	უცხო ენა	ისტორია	სპორტი	მუსიკა	სახვითი და გამყენებითი ხელოვნება	ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები	სხვა	ჯამი
ბათუმი	303	8	50	274	55	88	58	392	99	134	110	128	49	280	2029
ქედა	94	0	16	78	15	23	13	88	24	47	40	50	24	114	625
ქობულეთი	210	3	33	179	38	47	35	187	61	91	73	87	46	218	1308
შუახევი	128	0	18	105	24	27	21	107	38	63	56	64	27	167	844
ხელვაჩაური	157	0	21	131	26	41	29	152	48	69	67	72	28	177	1019
ხულო	137	0	26	117	30	38	32	112	53	71	72	68	37	171	963
ლანჩხუთი	101	0	14	83	20	22	19	94	24	42	38	50	17	128	652
ოზურგეთი	193	0	30	162	30	35	32	184	58	107	92	102	37	254	1316
ჩოხატაური	87	0	13	81	17	23	14	73	29	51	34	54	20	114	609
თბილისი	2245	70	328	1789	349	506	361	2525	580	793	595	798	292	1767	12998
ბაღდათი	78	0	13	59	15	17	11	61	25	33	23	34	14	85	468
ვანი	93	0	15	85	17	20	18	79	33	46	43	49	24	105	629
ზესტაფონი	160	0	27	131	28	31	29	165	49	68	64	67	32	182	1032
თერჯოლა	92	0	18	78	17	19	18	86	28	46	43	45	16	123	631
სამტრედია	132	0	23	109	26	29	22	132	40	64	48	67	29	158	880
საჩხერე	147	0	19	126	25	26	22	124	38	74	59	75	30	169	935
ტყიბული	72	0	12	66	15	18	15	69	25	32	26	39	15	81	483
ქუთაისი	390	5	56	336	66	81	60	458	101	161	122	136	56	354	2381
წყალტუბო	144	0	24	125	27	35	23	127	44	69	57	64	29	176	945
ჭიათურა	142	0	26	119	27	34	24	142	42	61	53	64	35	186	955



რაიონი	ქართული ენა და ლიტერატურა	მშობლური ენა	ქიზია	მათემატიკა	ფიზიკა	ბიოლოგია	გეოგრაფია	უცხო ენა	ისტორია	სპორტი	მუსიკა	სახვითი და გამყენებითი ხელოვნება	ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები	სხვა	ჯამი
ხარაგაული	84	0	13	75	17	18	15	80	24	46	28	51	19	110	579
ხონი	92	0	17	69	16	21	18	79	23	36	33	39	22	105	568
ახმეტა	96	0	14	76	20	23	16	95	31	43	37	46	18	98	613
გურჯაანი	136	0	20	111	26	26	23	127	38	59	47	61	23	150	848
დედოფლისწყარო	66	5	11	55	14	14	12	59	17	30	22	32	12	81	431
თელავი	181	1	24	145	32	35	26	176	50	72	54	71	26	171	1064
ლაგოდეხი	110	26	13	98	21	20	18	104	35	53	46	52	24	144	765
საგარეჯო	126	17	18	101	21	21	23	114	32	51	44	59	24	147	798
სიღნაღი	100	0	19	83	20	19	16	94	29	41	37	37	20	125	639
ყვარელი	113	0	20	104	25	27	22	102	37	46	39	61	19	110	725
ღუშეთი	116	0	16	93	22	24	21	107	33	56	47	51	28	134	748
თიანეთი	36	0	7	32	6	9	8	37	13	19	17	17	8	51	260
მცხეთა	115	0	21	95	21	25	20	114	34	58	43	48	23	132	749
ყაზბეგი	19	0	4	16	5	5	2	18	5	11	6	9	7	22	128
ამბროლაური	44	0	8	39	11	10	9	39	15	26	15	22	13	55	304
ლენტეხი	34	0	5	30	6	9	7	30	12	16	16	16	7	28	215
ონი	25	0	5	22	5	6	5	19	8	9	7	13	4	28	155
ცაგერი	69	0	13	57	12	16	11	41	20	30	22	29	16	91	426
აბაშა	71	0	13	62	14	16	13	68	20	32	27	36	16	104	492
ზუგდიდი	238	1	39	210	44	50	38	251	77	91	79	106	52	274	1551
მარტვილი	132	0	21	112	27	32	19	121	43	55	50	62	31	155	861



რაიონი	ქართული ენა და ლიტერატურა	მშობლური ენა	ქიზია	მათემატიკა	ფიზიკა	ბიოლოგია	გეოგრაფია	უცხო ენა	ისტორია	სპორტი	მუსიკა	სახვითი და გამყენებითი ხელოვნება	ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები	სხვა	ჯამი
მესტია	72	0	13	50	14	24	13	63	21	33	28	31	15	63	440
სენაკი	105	3	19	94	18	18	16	97	31	51	40	45	19	125	681
ფოთი	81	0	14	72	14	15	11	80	18	35	29	34	12	78	493
ჩხორონწყე	90	0	15	80	17	17	17	74	26	43	38	42	22	105	584
წალენჯიხა	117	0	16	100	23	26	20	104	37	54	41	55	25	142	760
ხობი	90	0	13	74	16	16	15	83	28	43	34	44	21	107	586
ადიგენი	68	0	11	68	15	16	15	71	21	38	37	38	17	95	512
ასპინძა	68	5	7	51	10	12	11	52	20	36	23	30	13	65	404
ახალქალაქი	175	173	31	161	43	50	41	167	71	103	88	114	40	209	1465
ახალციხე	138	42	26	124	25	26	24	134	47	69	57	69	30	159	971
ბორჯომი	67	7	11	62	13	12	13	70	20	34	31	29	15	91	476
ნინოწმინდა	110	105	21	101	24	27	22	108	53	64	66	64	29	134	927
ბოლნისი	134	88	20	122	26	29	21	107	45	73	62	74	23	144	969
გარდაბანი	181	49	24	151	31	32	30	168	48	90	72	92	27	176	1170
ღმანისი	76	41	11	65	16	14	12	56	20	36	35	38	20	86	525
თეთრი წყარო	76	4	13	65	15	15	17	75	22	40	31	39	17	96	526
მარნეული	269	230	47	250	63	66	58	279	95	157	135	163	55	269	2137
რუსთავი	291	14	34	224	42	43	43	266	71	101	65	94	39	253	1581
წალკა	75	36	13	71	19	18	16	59	32	39	29	41	17	86	550
გორი	316	0	44	259	62	77	56	299	86	144	112	137	58	366	2014
კასპი	106	0	19	86	21	19	17	96	32	49	42	48	25	147	707



რაიონი	ქართული ენა და ლიტერატურა	მშობლური ენა	ქიზია	მათემატიკა	ფიზიკა	ბიოლოგია	გეოგრაფია	უცხო ენა	ისტორია	სპორტი	მუსიკა	სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება	ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები	სხვა	ჯამი
ქარელი	123	0	23	114	28	30	23	117	41	58	51	56	24	159	847
ხაშური	153	0	23	126	26	32	25	144	41	62	52	65	28	167	943
სულ	10092	933	1571	8489	1834	2222	1737	9998	2956	4452	3629	4471	1861	10647	64890



III. სოციალ-დემოგრაფიული პროფილი

გამოკითხულ მასწავლებელთა აბსოლუტური უმრავლესობა მდებარეობს სქესისაა (93.1%). ყველაზე მეტი მამრობითი სქესის მასწავლებელი ქვემო ქართლში დაფიქსორდა (13.1%). მასწავლებელთა ასაკი, ძირითადად, 35–54 წელს შორის მერყეობს (58.9%), თუმცა ყველაზე ნაკლები ახალგაზრდა მასწავლებელი (25–34 წლის) გურიასა და კახეთში გვხვდება.

მასწავლებელთა 82.9%-ს მაგისტრის ხარისხი აქვს. რეგიონების მიხედვით მონაცემთა დაყოფისას გამოვლინდა, რომ ყველაზე ნაკლებად მაგისტრის/დოქტორის ხარისხი მოპოვებული აქვთ სამცხე-ჯავახეთსა და ქვემო ქართლში. გამოკითხული მასწავლებლების 94% სახელმწიფო სკოლაში მუშაობს. შიდა ქართლსა და მცხეთა-მთიანეთში რესპონდენტთაგან - ყველა, ხოლო სამეგრელო-ზემო სვანეთში თითქმის ყველა სახელმწიფო სკოლაში მომუშავეა. მასწავლებელთა უმრავლესობა მაღალ კლასებს ასწავლის (64.4%), მეხუთედი - დანყებითს, ხოლო როგორც დანყებით, ასევე მაღალ კლასებს ასწავლის გამოკითხულთა 14.6%.

მასწავლებელთა ხელფასის საშუალო რაოდენობა 343 ლარია. თითქმის მესამედის შემოსავალი 301–400 ლარს შეადგენს, ხოლო მეხუთედს ხელფასის სახით მხოლოდ 100 ლარამდე თანხა ერიცხება (იხ. ცხრილი №4). მნიშვნელოვანია ის ფაქტიც, რომ გამოკითხულთა მეხუთედს არ სურს საკუთარი ხელფასის რაოდენობის გამჟღავნება.

ცხრილი №4

თქვენი ხელფასი	%
100 ლარამდე	21.1%
101-200 ლარი	9.6%
201-300 ლარი	18.7%
301-400 ლარი	29.9%
401-500 ლარი	15.3%
501-600 ლარი	3.3%
601 და მეტი ლარი	2.0%
უარი პასუხზე	19.7%

აღსანიშნავია, რომ ხელფასის ყველაზე დაბალი რაოდენობა გურიასა (სადაც 300 ლარამდე ხელფასი უფრო მეტ მასწავლებელს ჰქონდა (42.7%), ვიდრე 301–500 ლარი (40.7%) და კახეთში (სადაც 300 ლარამდე ხელფასი უფრო მეტ მასწავლებელს ჰქონდა (42.4%), ვიდრე 301–500 ლარი (28.5%)). როგორც მონაცემებიდან ჩანს, 301–500 ლარი შემოსავალი კახეთში მცხოვრებ



მასწავლებელთა მხოლოდ 28.5%-ს აქვს (იხ. ცხრილი №5). ყველაზე იშვიათად ხელფასის რაოდენობას ამჟღავნებენ კახეთსა და თბილისში (გამოკითხულთა მეოთხედი), ხოლო ყველაზე ხშირად – სამეგრელო-ზემო სვანეთში (გამოკითხულთა მეათედზე მეტი არ ამჟღავნებს).

ცხრილი №5

ლარი	თბილისი	აჭარა	გურია	იმერეთი, რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი	კახეთი	სამეგრელო-ზემო სვანეთი	სამცხე-ჯავახეთი	ქვემო ქართლი	შიდა ქართლი, მცხეთა-მთიანეთი
0-300	18.8%	27.2%	42.7%	30.9%	42.4%	33.2%	31.6%	31.2%	32.2%
301-500	49.8%	46.7%	40.7%	47.2%	28.5%	48.9%	43.3%	46.7%	41.7%
501 და მეტი	7.2%	4.9%	2.5%	6.2%	4.1%	5.3%	3.5%	5.2%	4.2%
უარი პასუხზე	24.2%	21.2%	14.0%	15.7%	25.0%	12.6%	21.6%	16.9%	21.9%

გამოკითხულთა ნახევარი მიიჩნევს, რომ მისი ოჯახის მატერიალური მდგომარეობა საშუალოა და რომ ისინი ახერხებენ ოჯახის ძირითადი მოთხოვნილებების დაკმაყოფილებას. მესამედზე მეტი ამბობს, რომ მათი ოჯახის მატერიალური მდგომარეობა ცუდია, ხოლო 12.9% აცხადებს, რომ მის ოჯახს შემოსავალი საკვებზეც კი არ ჰყოფნის (იხ. ცხრილი №6).

ცხრილი №6

როგორია თქვენი ოჯახის მატერიალური მდგომარეობა?	%
ძალიან დაბალი, შემოსავალი კვებაზეც არ გვყოფნის	12.9%
დაბალი, შემოსავალი საკვებზე და ჩასაცმელზე ძლივს გვყოფნის	36.6%
საშუალო, ოჯახის ძირითადი მოთხოვნილებების დაკმაყოფილებას ვახერხებთ	49.1%
მაღალი, შეგვიძლია გართობისა და დასვენების ხარჯებსაც გავწვდეთ	0.9%
ძალიან მაღალი, შეგვიძლია ბინის, ავარაკის და ა.შ. შეძენა	0.1%
მიჭირს პასუხის გაცემა	0.5%

საკუთარი ოჯახის შემოსავლის თვითშეფასების დეტალური ანალიზისთვის მონაცემები რეგიონების მიხედვითაც აღინერა. პირობითად, ჩამოთვლილი 5-ბალიანი სკალა 3 ცვლადად დაჯგუფდა. თვითშეფასება დაიყო შემდეგ ნაწილებად: საშუალოზე დაბალი, საშუალო და საშუალოზე მაღალი. თვითშეფასების ამგვარად განაწილებისას აღმოჩნდა, რომ საშუალოზე მაღალი კატეგორიით საკუთარ მატერიალურ მდგომარეობას მხოლოდ 1% აფასებს. მონაცემები მსგავსია რეგიონების მიხედვით. განსხვავებულია მხოლოდ საშუალოზე დაბალი და საშუალო თვითშეფასების განაწილება. კერძოდ, იმერეთში, რაჭა-ლეჩხუმსა და ქვემო სვანეთში, კახეთში, სამეგრელო-ზემო




სვანეთში, შიდა ქართლსა და მცხეთა-მთიანეთში საშუალოზე დაბალი შეფასების პროცენტული მაჩვენებელი აღემატება საშუალო შეფასების პროცენტულ მაჩვენებელს. კერძოდ, ჩამოთვლილ რეგიონებში ნახევარზე მეტი ფიქრობს, რომ მისი ეკონომიკური მდგომარეობა საშუალოზე დაბალია. ამგვარი შეფასების განსაკუთრებით მაღალი პროცენტული მაჩვენებელი დაფიქსირდა შიდა ქართლსა და მცხეთა-მთიანეთში, სადაც გამოკითხულთა თითქმის ორი მესამედი საკუთარ მატერიალურ მდგომარეობას აფასებს, როგორც საშუალოზე დაბალს (63.3%) (იხ. ცხრილი №7).

ცხრილი №7

თვითშეფასება	თბილისი	აჭარა	გურია	იმერეთი, რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი	კახეთი	სამეგრელო-ზემო სვანეთი	სამცხე-ჯავახეთი	ქვემო ქართლი	შიდა ქართლი, მცხეთა-მთიანეთი
საშუალოზე დაბალი	41.9%	44.2%	48.8%	51.2%	53.0%	50.9%	49.1%	49.8%	63.3%
საშუალო	56.1%	53.4%	50.7%	48.1%	44.6%	48.3%	49.4%	49.1%	36.1%
საშუალოზე მაღალი	1.5%	1.0%	0.5%	0.5%	1.7%	0.3%	1.3%	0.8%	0.6%

მასწავლებლების 38.2%-ა სერტიფიცირებულია. მათგან უმრავლესობას საბაზო-საშუალო კლასების სერტიფიკატი აქვს (იხ. დიაგრამა №3).

დიაგრამა №3



გამოკითხული მასწავლებლები უფრო ხშირად უცხო ენას, მშობლიურ ენას (I-VI კლასები) და მათემატიკას ასწავლიან. უფრო დაწვრილებით მასწავლებლების განაწილება საგნების მიხედვით ასე გამოიყურება (იხ. ცხრილი №8):


ცხრილი №8

რომელ საგანს (საგნებს) ასწავლით?	%	N
ქართული ენა და ლიტერატურა (I-VI კლასები)	11.0%	707
მათემატიკა (I-VI კლასები)	10.9%	701
ბუნებისმეტყველება (I-VI კლასები)	9.9%	637
ქართული	5.0%	321
მათემატიკა	4.9%	315
უცხო ენა	14.5%	958
ფიზიკა	4.8%	309
ბიოლოგია	4.9%	315
ქიმია	4.8%	309
გეორგაფია	4.7%	302
ისტორია	5.7%	367
სამოქალაქო განათლება	4.8%	309
მუსიკა	4.7%	302
სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება	4.8%	309
სპორტი	4.8%	309



გამოკითხულთაგან უმეტესობის საბაზისო სპეციალობა დანყებითი კლასების პედაგოგიაა. მეათედი ინგლისურისა და ქართული ენისა და ლიტერატურის პედაგოგია (იხ. დიაგრამა №4).

დიაგრამა №4



IV. მასწავლებელთა პროფესიული სტანდარტები და სხვა საკანონმდებლო რეგულაციები: ინფორმირებულობა და შეფასება


კითხვარის მიხედვით, მასწავლებლებს უნდა შეეფასებინათ მასწავლებელთა პროფესიული სტანდარტებისა და სხვა საკანონმდებლო რეგულაციების მიმართ ინფორმირებულობის ხარისხი და ამასთან, დაეფიქსირებინათ მოსაზრება იმის შესახებ, დაეხმარა თუ არა მათ აღნიშნული რეგულაციები პროფესიაში.

მონაცემებიდან იკვთება, რომ ჩამოთვლილი კომპონენტების შესახებ ინფორმირებულობის ხარისხი მაღალია. საშუალოდ, მასწავლებელთა დაახლოებით 5% საუბრობს იმაზე, რომ ამა თუ იმ რეგულაციასთან დაკავშირებით არ აქვს ინფორმაცია. აღმოჩნდა, რომ მოსწავლის ქცევის კოდექსის, მასწავლებლის ეთიკის კოდექსისა და მასწავლებელთა საგნობრივი სტანდარტის შესახებ მასწავლებლები ყველაზე მეტად ინფორმირებულნი არიან, ხოლო საჯარო სკოლის დირექტორის ეთიკის კოდექსის, ზოგადი განათლების ეროვნული მიზნების დამტკიცების შესახებ დადგენილებისა და მასწავლებელთა პროფესიული განვითარების სქემის შესახებ – ყველაზე



ნაკლებად (გამოკითხულთა დაახლოებით მეათედი არ არის ინფორმირებული) (იხ. დიაგრამა №5).


დიაგრამა №5



ჩამოთვლილი რეგულაციებიდან მასწავლებლებს პროფესიაში ყველაზე მეტად მასწავლებელთა საგნობრივი სტანდარტი (73.5%-ს დაეხმარა), მასწავლებლის ეთიკის კოდექსი (69.4%-ს დაეხმარა), მოსწავლის ქცევის კოდექსი (66.1%) და მასწავლებელთა ზოგადი პროფესიული სტანდარტი (65.6%). აღნიშნული მონაცემები დათვლილია მათგან, ვინც ჩამოთვლილი რეგულაციების შესახებ სრულად ან ნაწილობრივ ინფორმირებულია.


ის რეგულაციები კი, რომლებიც მასწავლებლებს პროფესიაში არ დახმარებია, ყველაზე ხშირად საჯარო სკოლის დირექტორის ეთიკის კოდექსი (13.4%-ს არ დახმარებია) და მასწავლებლის პროფესიული განვითარების სქემა (9.2%-ს არ დახმარებია) (იხ. დიაგრამა №6). საშუალოდ იმ მასწავლებლების რაოდენობა, ვისაც ჩამოთვლილი რეგულაციები არ დახმარებია, დაახლოებით 5%-ია.

დიაგრამა №6



ის მასწავლებლები, რომლებიც იცნობენ ჩამოთვლილ საკანონმდებლო რეგულაციებს, აქვთ სრული ან ნაწილობრივი ინფორმაცია მათ შესახებ, ამბობენ, რომ ძირითადად, ინფორმაცია მათ შესახებ მიიღეს ინტერნეტით (30.6%), სკოლის დირექტორისგან (27.9%), რესურსცენტრის მეშვეობით (11.6%), სხვა მასწავლებლებისგან (11.6%) ან მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის საშუალებით (9.8%) (იხ. დიაგრამა №7).

დიაგრამა №7



აღსანიშნავია, რომ რეგიონულ ჭრილში ეს მონაცემები ზოგადი სურათის მსგავსია. რეგიონების მიხედვით იცვლება მხოლოდ პროცენტული მაჩვენებლები. მაგალითად, ინფორმირებულთა შორის ინტერნეტის გამოყენება მსგავსა ყველა რეგიონში, თუმცა შედარებით მაღალი პროცენტი დაფიქსირდა თბილისში (34.1%), ხოლო ყველაზე დაბალი – გურიაში (27.6%). რესურსცენტრის საშუალებით ინფორმაციის მიღება შედარებით ხშირია გურიაში (16.5%), სამცხე-ჯავახეთში (15.4%), სამეგრელო-ზემო სვანეთსა (14.6%) და კახეთში (13.1%), ხოლო ყველაზე იშვიათი – თბილისში (8.3%). სკოლაში სპეციალურად შერჩეული საკონტაქტო პირის მეშვეობით ინფორმაციას ყველაზე ხშირად იღებენ თბილისში (9.1%), ხოლო ყველაზე იშვიათად – გურიაში (2.4%). სკოლის დირექტორისგან ინფორმაციას (რეგულაციებისა და სტანდარტების შესახებ) ყველაზე ხშირად იღებენ იმერეთში, რაჭა-ლეჩხუმსა და ქვემო სვანეთში (30.3%), ხოლო ყველაზე იშვიათად – თბილისში (23.9%). სხვა მასწავლებლებისგან ინფორმაციას ყველაზე ხშირად გურიასა და ქვემო ქართლში იღებენ, ხოლო ყველაზე იშვიათად – სამცხე-ჯავახეთში. მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი ინფორმაციის წყაროდ ყველაზე ხშირად სახელდება თბილისში



(11.4%), ხოლო ყველაზე იშვიათად – იმერეთში, რაჭა–ლეჩხუმსა და ქვემო სვანეთში (8.8%), ქვემო ქართლსა (8.6%) და სამცხე–ჯავახეთში (8.3%) (იხ. ცხრილი №9).


საბოლოოდ, გამოიკვეთა, რომ თითქმის ყველა რეგიონში ინფორმაციის წყაროა ინტერნეტი და სკოლის დირექტორი, თუმცა, მაგალითად, გურიაში დირექტორი უფრო ხშირადაა ინფორმაციის წყარო, ვიდრე ინტერნეტი და საკმაოდ ხშირად ინფორმაციის საშუალებებია რესურსცენტრი და სხვა მასწავლებლები.

ცხრილი №9

ინფორმაციის საშუალებები/წყაროები	თბილისი	აჭარა	გურია	იმერეთი, რაჭა–ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი	კახეთი	სამეგრელო-ზემო სვანეთი	სამცხე–ჯავახეთი	ქვემო ქართლი	შიდა ქართლი, მცხეთა–მთიანეთი
ინტერნეტი	34.1%	30.0%	27.6%	31.6%	29.7%	28.8%	30.4%	29.4%	28.4%
რესურსცენტრი	8.3%	10.8%	16.5%	10.9%	13.1%	14.6%	15.4%	10.3%	12.0%
სკოლაში სპეციალურად შერჩეული საკონტაქტო პირი	9.1%	7.1%	2.4%	6.3%	7.0%	7.1%	4.1%	7.5%	7.4%
სკოლის დირექტორი	23.9%	28.1%	29.4%	30.3%	27.6%	28.2%	29.9%	29.0%	28.2%
სხვა მასწავლებლები	11.5%	11.1%	14.1%	10.9%	10.4%	10.6%	9.8%	14.0%	13.1%
მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი	11.4%	10.2%	9.0%	8.8%	10.9%	9.1%	8.3%	8.6%	10.3%
სხვა	0.9%	1.5%	1.0%	0.8%	0.4%	1.2%	1.8%	1.2%	0.4%
მიჯირს კ/გ	0.9%	1.2%		0.4%	0.9%	0.3%	0.3%	–	0.1%

ის რესპონდენტები, რომლებიც აღნიშნავენ, რომ არ ჰქონდათ ინფორმაცია ჩამოთვლილი საკანონმდებლო რეგულაციების შესახებ, ამის მთავარ მიზეზად ასახელებენ არახელმისაწვდომ რესურსებს (24.6%). ნაწილი აცხადებდა, რომ არ იცოდნენ აღნიშნული რეგულაციების არსებობის შესახებ. 17.3% ამბობს, რომ არ ჰქონდათ დრო რეგულაციების გაცნობისთვის. 14.7% ამბობს, რომ არ ესაჭიროებოდა ამ რეგულაციების გამოყენება პროფესიულ საქმიანობაში, ხოლო მეთაფი აღნიშნავს, რომ არ არის დაინტერესებული ჩამოთვლილი საკანონმდებლო აქტებით (იხ. დიაგრამა №8).

დიაგრამა №8



რეგიონულ ჭრილში არაინფორმირებულობის მიზეზების განხილვისას აღმოჩნდა, რომ პასუხს, „არ ვარ დაინტერესებული/არ მაქვს სურვილი“, ყველაზე ხშირად შიდა ქართლსა და მცხეთა-მთიანეთში (15.2%), კახეთსა (13.9%) და თბილისში (12.9%) აფიქსირებენ. იმ მასწავლებლების რაოდენობა, რომელთაც ინფორმაციის მისაღებად არ აქვთ დრო, ყველაზე მეტი თბილისში (24.7%), შიდა ქართლსა და მცხეთა-მთიანეთშია (21.3%). რესურსებზე ხელი ყველაზე მეტად იმერეთში, რაჭა-ლეჩხუმსა და ქვემო სვანეთში (40%), ქვემო ქართლსა (37.8%) და სამცხე-ჯავახეთში (35.2%) არ მიუწვდებათ. მათი რაოდენობა, ვინც არაინფორმირებულობის მიზეზად ასახელებს იმას, რომ საერთოდ არაფერი იცის ჩამოთვლილი რეგულაციების არსებობის შესახებ, ყველაზე მეტი სამეგრელო-ზემო სვანეთში (27.2%), შიდა ქართლსა და მცხეთა-მთიანეთშია (27%). გურიაში არაინფორმირებულთა მესამედი აფიქსირებს პასუხს, რომ არ ესაჭიროება ამ სტანდარტების/რეგულაციების გამოყენება პროფესიული განვითარებისთვის (33.1%). აღსანიშნავია ისიც, რომ ზოგიერთ რეგიონში დიდია მათი რაოდენობა, ვისაც უჭირს პასუხის გაცემა. მაგალითად, კახეთში არაინფორმირებულთა მეხუთედს უჭირს არაინფორმირებულობის მიზეზის დასახელება. მამ, მონაცემებიდან ჩანს, რომ (იხ. ცხრილი №10):

- ✓ თბილისში არაინფორმირებულობის მიზეზად ყველაზე ხშირად ასახელებენ დროის არქონას (24.7%);



- ✓ აჭარაში არაინფორმირებულობის მიზეზად ყველაზე ხშირად ასახელებენ იმას, რომ არაფერი იციან აღნიშნული რეგულაციების არსებობის შესახებ (22.4%) და რესურსების მიმართ ხელმიუწვდომლობას (20.3%);
- ✓ გურიაში არაინფორმირებულთა მესამედი ამბობს, რომ არ ესაჭიროება ამ რეგულაციების გამოყენება პროფესიული განვითარებისთვის (33.1%), ხოლო 27.3% ამბობს, რომ არ მიუწვდებათ ხელი რესურსებზე;
- ✓ იმერეთში, რაჭა–ლეჩხუმსა და ქვემო სვანეთში ყველაზე ხშირად ამბობენ, რომ არ მიუწვდებათ ხელი რესურსებზე (40%);
- ✓ კახეთში არაინფორმირებულობის მიზეზი ყველაზე ხშირად რესურსების არახელმისაწვდომობაა (19.4%);
- ✓ სამეგრელო–ზემო სვანეთში არაინფორმირებულობის მთავარი მიზეზი ისაა, რომ მასწავლებლებმა არ იციან ჩამოთვლილი რეგულაციების არსებობის შესახებ (27.2%);
- ✓ სამცხე–ჯავახეთში მთავარი პრობლემა რესურსების არახელმისაწვდომობაა (37.8%);
- ✓ ქვემო ქართლში არაინფორმირებულობის ძირითადი მიზეზი რესურსების არახელმისაწვდომობაა (37.8%);
- ✓ შიდა ქართლსა და მცხეთა–მთიანეთში კი არაინფორმირებულობის ორი ძირითადი მიზეზი გამოიკვეთა: რეგულაციის არსებობის შესახებ არაინფორმირებულობა (27%) და დროის არქონა (21.3%).

ცხრილი №10

არაინფორმირებულობის მიზეზები	თბილისი	აჭარა	გურია	იმერეთი, რაჭა და ქვემო სვანეთი	კახეთი	სამეგრელო–ზემო სვანეთი	სამცხე–ჯავახეთი	ქვემო ქართლი	შიდა ქართლი, მცხეთა–მთიანეთი
არ ვარ დაინტერესებული/არმაქვს სურვილი	12.9%	6.4%	9.1%	7.0%	13.9%	6.8%	9.2%	9.1%	15.2%
არ მაქვს დრო	24.7%	17.2%	16.3%	10.9%	16.7%	10.2%	11.4%	15.2%	21.3%
არ მიმინვდება ხელი რესურსებზე	11.2%	20.3%	27.3%	40.0%	19.4%	23.5%	35.2%	37.8%	16.2%
არაფერი ვიცი აღნიშნული რეგულაციების არსებობის შესახებ	13.3%	22.4%	6.5%	18.0%	14.0%	27.2%	16.7%	21.9%	27.0%
არ მესაჭიროება რეგულაციების გამოყენება	17.8%	17.0%	33.1%	10.2%	15.1%	14.2%	5.5%	8.2%	17.0%
სხვა	1.9%	1.6%	1.8%	1.1%	0.8%	4.5%	4.1%	1.5%	0.0%
მიჭირს პ/გ	18.2%	15.1%	6.0%	12.9%	20.0%	13.5%	17.9%	6.1%	3.2%



4.1. მასწავლებელთა პროფესიული სტანდარტები და სხვა საკანონმდებლო რეგულაციები რეგიონების მიხედვით

✓ მასწავლებელთა ზოგადი პროფესიული სტანდარტი

მასწავლებელთა სტანდარტის (ზოგადი პროფესიული) შესახებ 73.7%–ია ინფორმირებული, ხოლო 23.2% – ნაწილობრივ ინფორმირებული. მათგან, ვისაც აღნიშნული პროფესიული სტანდარტის შესახებ ინფორმაცია აქვს, უმრავლესობა აცხადებს, რომ ზოგადი პროფესიული სტანდარტი დაეხმარა (65.6%) ან ნაწილობრივ დაეხმარა (29.8%) პროფესიული საქმიანობისას.

რეგიონების მიხედვით მონაცემების ანალიზისას გამოვლინდა, რომ მასწავლებელთა ზოგადი პროფესიული სტანდარტის შესახებ ყველაზე ინფორმირებულები იყვნენ სამეგრელო–ზემო სვანეთში, ხოლო ყველაზე ნაკლები ინფორმაცია ჰქონდათ ქვემო ქართლსა (5.9% არ არის ინფორმირებული) და აჭარაში (3.3% არ არის ინფორმირებული) (იხ. ცხრილი №11).

ცხრილი №11

ინფორმირებულობა (მასწავლებელთა ზოგადი პროფესიული სტანდარტი)	თბილისი	აჭარა	გურია	იმერეთი, რაჭა–ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი	კახეთი	სამეგრელო–ზემო სვანეთი	სამცხე–ჯავახეთი	ქვემო ქართლი	შიდა ქართლი, მცხეთა–მთიანეთი	სულ
სრულად	71.5%	67.4%	69.7%	77.0%	80.0%	86.3%	75.2%	64.0%	73.3%	73.7%
ნაწილობრივ	24.7%	28.4%	28.4%	20.8%	17.0%	12.6%	23.5%	29.3%	25.1%	23.2%
არ ვარ ინფორმირებული	2.1%	3.3%	1.3%	1.7%	1.2%	0.6%	1.0%	5.9%	0.7%	2.1%
მიჭირს პ/კ	1.7%	0.9%	0.5%	0.6%	1.8%	0.4%	0.3%	0.8%	0.9%	1.0%

რაც შეეხება შეფასებას, ყველაზე მეტად პროფესიულ საქმიანობაში აღნიშნული სტანდარტი დაეხმარათ სამეგრელო–ზემო სვანეთში (80.5%–ს სრულიად, ხოლო 18.4%–ს ნაწილობრივ დაეხმარა). თბილისელთა 2.9% კი აცხადებს, რომ აღნიშნული სტანდარტი მათ პროფესიული საქმიანობისას არ დახმარებია (იხ. ცხრილი №12).

ცხრილი №12

დაეხმარათ თუ არა მასწავლებელთა ზოგადი პროფესიული სტანდარტი თქვენს პროფესიაში?	თბილისი	აჭარა	გურია	იმერეთი, რაჭა–ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი	კახეთი	სამეგრელო–ზემო სვანეთი	სამცხე–ჯავახეთი	ქვემო ქართლი	შიდა ქართლი, მცხეთა–მთიანეთი	სულ
დამეხმარა	59.6%	60.4%	69.8%	66.3%	64.0%	80.5%	68.4%	60.0%	69.9%	65.6%
ნაწილობრივ დამეხმარა	33.0%	30.9%	27.7%	30.5%	26.7%	18.4%	29.5%	36.4%	28.6%	29.8%



არ დამხმარებია	2.9%	1.8%	1.3%	1.3%	1.1%	0.5%	1.1%	1.3%	0.5%	1.5%
მიჭირს პ/გ	4.5%	6.9%	1.1%	1.9%	8.2%	0.6%	1.0%	2.3%	1.0%	3.2%

✓ **მასწავლებელთა საგნობრივი სტანდარტი**

მასწავლებელთა სტანდარტის (საგნობრივი) შესახებ 82.9% - სრულიად, ხოლო 14.8% ნაწილობრივ ინფორმირებულია. არაინფორმირებულთა რაოდენობა ძალიან მცირეა. მათგან, ვისაც საგნობრივი სტანდარტის შესახებ ინფორმაცია აქვთ, სრული უმრავლესობა აცხადებს, რომ ის ნაწილობრივ (22.8%) ან სრულად (73.5%) დაეხმარა პროფესიული საქმიანობისას.

მასწავლებელთა საგნობრივი სტანდარტის შესახებ ყველაზე მეტად ინფორმირებულნი სამეგრელო-ზემო სვანეთში (92%) არიან. ყველაზე ნაკლებად მის შესახებ ინფორმაციას ფლობენ ქვემო ქართლში (4% არ არის ინფორმირებული) (იხ. ცხრილი №13).

ცხრილი №13

ინფორმირებულობა (მასწავლებელთა საგნობრივი სტანდარტი)	თბილისი	აჭარა	გურია	იმერეთი, რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი	კახეთი	სამეგრელო-ზემო სვანეთი	სამცხე-ჯავახეთი	ქვემო ქართლი	შიდა ქართლი, მცხეთა-მთიანეთი	სულ
სრულად	83.8%	78.4%	78.9%	82.2%	88.1%	92.0%	81.7%	74.8%	84.8%	82.9%
ნაწილობრივ	13.1%	18.8%	19.8%	15.9%	9.3%	7.0%	17.6%	21.3%	13.5%	14.8%
არ ვარ ინფორმირებული	2.3%	2.4%	1.3%	1.3%	1.6%	1.0%	0.8%	4.0%	0.9%	1.8%
მიჭირს პ/გ	0.9%	0.4%		0.6%	1.1%	-	-	-	0.8%	0.5%

აღნიშნული სტანდარტი გამოკითხულთაგან ყველაზე მეტად სამეგრელო-ზემო სვანეთში დაეხმარათ (87.9%), ხოლო ყველაზე ნაკლებად – ქვემო ქართლსა (4.4%-ს არ დახმარებია) და თბილისში (2.3%-ს არ დახმარებია) (იხ. ცხრილი №14).

ცხრილი №14

დაგეხმარათ თუ არა მასწავლებელთა საგნობრივი სტანდარტი თქვენს პროფესიაში?	თბილისი	აჭარა	გურია	იმერეთი, რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი	კახეთი	სამეგრელო-ზემო სვანეთი	სამცხე-ჯავახეთი	ქვემო ქართლი	შიდა ქართლი, მცხეთა-მთიანეთი	სულ
დამეხმარა	68.2%	68.2%	79.5%	74.0%	73.2%	87.9%	75.4%	64.7%	79.7%	73.5%
ნაწილობრივ დამეხმარა	26.4%	24.9%	19.7%	24.2%	19.0%	11.6%	22.3%	30.1%	18.9%	22.8%
არ დამხმარებია	2.3%	1.0%	0.4%	0.6%	0.6%	0.1%	0.8%	4.4%	0.7%	1.4%
მიჭირს პ/გ	3.1%	6.0%	0.4%	1.3%	7.3%	0.4%	1.4%	0.8%	0.7%	2.4%



✓ მასწავლებლის ეთიკის კოდექსი

ეთიკის კოდექსის შესახებ სრული ან ნაწილობრივი ინფორმაცია აქვს გამოკითხულთა 97.5%-ს. მასწავლებლები მას დადებითად აფასებენ და ამბობენ, რომ ეთიკის კოდექსი პროფესიული საქმიანობისას სრულად (69.4%) ან ნაწილობრივ (24.9%) დაეხმარა.

მასწავლებელთა ეთიკის კოდექსის შესახებ ინფორმირებულები ყველაზე ხშირად სამეგრელო-ზემო სვანეთის (93.2%) სკოლებში გვხვდებიან. არაინფორმირებულთა პროცენტული მაჩვენებელი კი მაღალია აჭარასა (3.8%) და ქვემო ქართლში (3.2%) (იხ. ცხრილი №15).

ცხრილი №15

ინფორმირებულობა (მასწავლებლის ეთიკის კოდექსი)	თბილისი	აჭარა	გურია	იმერეთი, რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი	კახეთი	სამეგრელო-ზემო სვანეთი	სამცხე-ჯავახეთი	ქვემო ქართლი	შიდა ქართლი, მცხეთა-მთიანეთი	სულ
სრულად	83.7%	78.2%	80.8%	83.9%	88.6%	93.2%	82.9%	75.9%	86.6%	83.8%
ნაწილობრივ	13.3%	17.8%	17.6%	14.2%	8.1%	5.5%	15.6%	20.3%	12.3%	13.7%
არ ვარ ინფორმირებული	2.1%	3.8%	0.8%	1.6%	1.8%	1.0%	1.6%	3.2%	0.7%	1.9%
მიჭირს პ/გ	0.9%	0.2%	0.8%	0.3%	1.6%	0.3%	-	0.7%	0.3%	0.6%

მასწავლებელთა ეთიკის კოდექსი გამოკითხულთაგან ყველაზე მეტს სამეგრელო-ზემო სვანეთში დაეხმარა (83.9%), ხოლო ყველაზე ნაკლებს - თბილისში (4.9%) (იხ. ცხრილი №16).

ცხრილი №16

დაგეხმარათ თუ არა მასწავლებლის ეთიკის კოდექსი პროფესიაში?	თბილისი	აჭარა	გურია	იმერეთი, რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი	კახეთი	სამეგრელო-ზემო სვანეთი	სამცხე-ჯავახეთი	ქვემო ქართლი	შიდა ქართლი, მცხეთა-მთიანეთი	სულ
დამეხმარა	64.1%	63.3%	74.3%	64.9%	72.4%	83.9%	72.3%	65.5%	77.4%	69.4%
ნაწილობრივ დამეხმარა	26.1%	25.8%	22.9%	32.3%	17.4%	14.4%	25.5%	30.0%	21.2%	24.9%
არ დამეხმარებია	4.9%	2.8%	2.3%	0.9%	1.1%	1.2%	1.6%	3.3%	1.1%	2.4%
მიჭირს პ/გ	4.9%	8.1%	0.5%	2.0%	9.1%	0.6%	0.6%	1.2%	0.3%	3.2%

✓ მოსწავლის ქცევის კოდექსი

მოსწავლის ქცევის კოდექსს მასწავლებლებლების 84.2% - სრულად, ხოლო 13% ნაწილობრივ იცნობს. მათი 93.1% ამბობს, რომ აღნიშნული რეგულაცია მათ დაეხმარა პროფესიული საქმიანობისას.



რეგიონების მიხედვით მონაცემთა ანალიზისას გამოვლინდა, რომ ყველაზე მეტად მოსწავლის ქცევის კოდექსის შესახებ ინფორმირებულნი სამეგრელო-ზემო სვანეთში (93.3%) არიან, ხოლო ყველაზე ნაკლებად – ქვემო ქართლსა (77.2%) და აჭარაში (77.9%) (იხ. ცხრილი №17).

ცხრილი №17

ინფორმირებულობა (მოსწავლის ქცევის კოდექსი)	თბილისი	აჭარა	გურია	იმერეთი, რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი	კახეთი	სამეგრელო-ზემო სვანეთი	სამცხე-ჯავახეთი	ქვემო ქართლი	შიდა ქართლი, მცხეთა-მთიანეთი	სულ
სრულად	83.7%	77.9%	84.8%	84.0%	88.7%	93.3%	83.3%	77.2%	87.6%	84.2%
ნაწილობრივ	12.6%	16.6%	14.3%	13.8%	7.8%	5.8%	14.5%	19.1%	11.6%	13.0%
არ ვარ ინფორმირებული	2.6%	4.2%	0.7%	1.6%	1.5%	0.8%	1.1%	2.6%	0.5%	1.9%
მიჭირს პ/გ	1.0%	1.2%	0.3%	0.6%	2.0%	0.2%	1.0%	1.1%	0.4%	0.9%

რაც შეეხება აღნიშნული რეგულაციის შეფასებას, ყველაზე დადებითად მას სამეგრელო – ზემო სვანეთში აფასებენ და 80.6% ამბობს, რომ მოსწავლის ქცევის კოდექსი დაეხმარა პროფესიაში, ხოლო ის თბილისში 5.7%-ს და ქვემო ქართლში 4.3%-ს არ დახმარებია (იხ. ცხრილი №18).

ცხრილი №18

დაგეხმარათ თუ არა მოსწავლის ქცევის კოდექსი პროფესიაში?	თბილისი	აჭარა	გურია	იმერეთი, რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი	კახეთი	სამეგრელო-ზემო სვანეთი	სამცხე-ჯავახეთი	ქვემო ქართლი	შიდა ქართლი, მცხეთა-მთიანეთი	სულ
დამეხმარა	62.6%	60.3%	69.7%	62.3%	66.0%	80.6%	69.4%	59.8%	74.0%	66.1%
ნაწილობრივ დამეხმარა	26.0%	28.2%	27.0%	34.0%	19.7%	17.5%	27.7%	33.7%	23.5%	27.0%
არ დამეხმარებია	5.7%	3.1%	2.3%	1.4%	1.4%	0.8%	2.0%	4.3%	1.8%	2.9%
მიჭირს პ/გ	5.7%	8.4%	1.0%	2.3%	13.0%	1.2%	0.8%	2.2%	0.7%	4.0%

✓ **საჯარო სკოლის დირექტორის ეთიკის კოდექსი**

საჯარო სკოლის დირექტორის ეთიკის კოდექსის შესახებ სრულად ინფორმირებული 36.7%, ხოლო ნაწილობრივ ინფორმირებული – გამოკითხულთა ნახევარია. ამ დოკუმენტის შესახებ ინფორმაცია საკმაოდ დიდ რაოდენობას – 11.5%-ს არ აქვს. მათგან, ვინც საჯარო სკოლის დირექტორის ეთიკის კოდექსს იცნობს, 77.3% ამბობს, რომ აღნიშნული საკანონმდებლო აქტი



სრულად ან ნაწილობრივ დაეხმარათ პროფესიულ საქმიანობაში. იმ ადამიანების პროცენტული მაჩვენებელი, რომლებიც ამბობენ, რომ დირექტორის ეთიკის კოდექსი არ დახმარებია, 13.4%-ია.

რეგიონულ ჯრილში განხილვისას აღმოჩნდა, რომ ყველაზე ინფორმირებული მასწავლებლები სამეგრელო-ზემო სვანეთსა (48.7%) და სამცხე-ჯავახეთში (45.3%) არიან, ხოლო ყველაზე ნაკლებად ინფორმირებულნი – ქვემო ქართლში (14.6%) (იხ. ცხრილი №19).

ცხრილი №19

ინფორმირებულობა (საჯარო სკოლის დირექტორის ეთიკის კოდექსი)	თბილისი	აჭარა	გურია	იმერეთი, რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი	კახეთი	სამეგრელო-ზემო სვანეთი	სამცხე-ჯავახეთი	ქვემო ქართლი	შიდა ქართლი, მცხეთა-მთიანეთი	სულ
სრულად	32.7%	27.5%	34.3%	36.1%	38.5%	48.7%	45.3%	36.3%	37.6%	36.7%
ნაწილობრივ	50.4%	56.4%	52.0%	51.0%	46.8%	41.4%	47.2%	48.8%	49.4%	49.5%
არ ვარ ინფორმირებული	13.4%	12.7%	13.5%	11.5%	8.4%	8.9%	5.3%	14.6%	11.3%	11.5%
მიჭირს პ/გ	3.5%	3.4%	0.3%	1.4%	6.3%	1.0%	2.2%	0.3%	1.8%	2.3%

ინფორმირებულთაგან სამეგრელო – ზემო სვანეთში თითქმის ნახევარს (47.9%) და სამცხე-ჯავახეთში 42.2%-ს საჯარო სკოლის დირექტორის ეთიკის კოდექსი დაეხმარა პროფესიაში, ხოლო თბილისში 17.7%-სა და ქვემო ქართლში 16.2%-ს აღნიშნული კოდექსი არ დახმარებია (იხ. ცხრილი №20).

ცხრილი №20

დაეხმარათ თუ არა საჯარო სკოლის დირექტორის ეთიკის კოდექსი პროფესიაში?	თბილისი	აჭარა	გურია	იმერეთი, რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი	კახეთი	სამეგრელო-ზემო სვანეთი	სამცხე-ჯავახეთი	ქვემო ქართლი	შიდა ქართლი, მცხეთა-მთიანეთი	სულ
დამეხმარა	28.6%	26.2%	25.8%	29.8%	32.5%	47.9%	42.2%	33.6%	37.8%	33.4%
ნაწილობრივ დამეხმარა	42.8%	46.7%	53.6%	49.8%	34.3%	36.2%	45.2%	45.8%	42.0%	43.9%
არ დამეხმარებია	17.7%	11.8%	14.8%	12.7%	9.7%	11.1%	7.9%	16.2%	13.4%	13.4%
მიჭირს პ/გ	10.9%	15.3%	5.7%	7.7%	23.5%	4.7%	4.8%	4.4%	6.9%	9.3%

✓ საქართველოს კანონი ზოგადი განათლების შესახებ



საქართველოს კანონს ზოგადი განათლების შესახებ სრულად ან ნაწილობრივ იცნობს გამოკითხულთა 95.8%. მათი 91.9% ამბობს, რომ აღნიშნული საკანონმდებლო აქტი დაეხმარა პროფესიულ საქმიანობაში.

რეგიონების მიხედვით მონაცემთა ანალიზისას აღმოჩნდა, რომ ინფორმირების ყველაზე მაღალ ხარისხს აფიქსირებენ ის მასწავლებლები, რომლებიც ასწავლიან სამეგრელო-ზემო სვანეთის (75.7%) სკოლებში, ხოლო დაბალ ხარისხს ის მასწავლებლები, რომლებიც მუშაობენ აჭარისა (5.3%) და ქვემო ქართლის (5%) სკოლებში (იხ. ცხრილი №21).

ცხრილი №21

ინფორმირებულობა (საქართველოს კანონი ზოგადი განათლების შესახებ)	თბილისი	აჭარა	გურია	იმერეთი, რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი	კახეთი	სამეგრელო-ზემო სვანეთი	სამცხე-ჯავახეთი	ქვემო ქართლი	შიდა ქართლი, მცხეთა-მთიანეთი	სულ
სრულად	58.8%	55.5%	59.7%	66.0%	67.9%	75.7%	71.8%	60.1%	71.1%	64.6%
ნაწილობრივ	36.1%	38.1%	38.0%	30.3%	25.5%	20.9%	26.7%	34.4%	26.8%	31.2%
არ ვარ ინფორმირებული	3.4%	5.3%	1.8%	2.7%	2.4%	2.5%	1.5%	5.0%	2.0%	3.1%
მიჭირს პ/გ	1.7%	1.1%	0.5%	1.0%	4.1%	0.9%	-	0.4%	0.1%	1.2%

ინფორმირებულთაგან ყველაზე მეტად აღნიშნული კანონი დაეხმარათ სამეგრელო-ზემო სვანეთში (76.4%), ხოლო ყველაზე ნაკლებად – თბილისსა (6.3%-ს არ დახმარებია) და ქვემო ქართლში (6%-ს არ დახმარებია) (იხ. ცხრილი №22).

ცხრილი №22

დაგეხმარათ თუ არა საქართველოს კანონი ზოგადი განათლების შესახებ პროფესიაში?	თბილისი	აჭარა	გურია	იმერეთი, რაჭა და ქვემო სვანეთი	კახეთი	სამეგრელო-ზემო სვანეთი	სამცხე-ჯავახეთი	ქვემო ქართლი	შიდა ქართლი, მცხეთა-მთიანეთი	სულ
დამეხმარა	54.2%	48.7%	61.0%	55.7%	64.1%	76.4%	61.6%	56.8%	64.3%	59.2%
ნაწილობრივ დამეხმარა	33.5%	37.0%	34.7%	38.4%	20.1%	21.4%	35.4%	35.0%	33.1%	32.7%
არ დამეხმარებია	6.3%	3.4%	4.3%	3.1%	1.5%	1.1%	1.5%	6.0%	1.1%	3.5%
მიჭირს პ/გ	6.0%	11.0%	-	2.7%	14.2%	1.1%	1.5%	2.2%	1.5%	4.6%



✓ „დადგენილება ზოგადი განათლების ეროვნული მიზნების დამტკიცების შესახებ“

„დადგენილება ზოგადი განათლების ეროვნული მიზნების დამტკიცების შესახებ“ 89.4%-მა სრულად ან ნაწილობრივ იცის. 87.9% ფიქრობს, რომ ეს დოკუმენტი დაეხმარა (სრულად ან ნაწილობრივ) პროფესიული საქმიანობის დროს.

რეგიონების მიხედვით მონაცემთა ანალიზისას გამოვლინდა, რომ ყველაზე მეტად ინფორმირებულები სამეგრელო-ზემო სვანეთში (61%) არიან, ხოლო ყველაზე ნაკლებად – აჭარასა (11.2%) და ქვემო ქართლში (11.9%) (იხ. ცხრილი №23).

ცხრილი №23

ინფორმირებულობა (დადგენილება ზოგადი განათლების ეროვნული მიზნების დამტკიცების შესახებ)	თბილისი	აჭარა	გურია	იმერეთი, რაჭა და ქვემო სვანეთი	კახეთი	სამეგრელო-ზემო სვანეთი	სამცხე-ჯავახეთი	ქვემო ქართლი	შიდა ქართლი, მცხეთა-მთიანეთი	სულ
სრულად	42.8%	35.8%	40.5%	43.8%	44.3%	61.0%	50.0%	43.0%	49.8%	45.4%
ნაწილობრივ	45.0%	49.9%	50.6%	48.2%	42.0%	31.7%	42.7%	44.5%	40.8%	44.0%
არ ვარ ინფორმირებული	9.6%	11.2%	7.1%	6.9%	5.5%	6.4%	6.7%	11.9%	7.7%	8.4%
მიჭირს პ/გ	2.6%	3.0%	1.8%	1.1%	8.2%	0.9%	0.6%	0.6%	1.7%	2.2%

აღმოჩნდა, რომ აღნიშნული დადგენილება სამეგრელო-ზემო სვანეთში ინფორმირებულ მასწავლებელთა 64.8%-ს დაეხმარა პროფესიაში, ხოლო თბილისში 9.7%-ს არ დახმარებია (იხ. ცხრილი №24).

ცხრილი №24

დაგეხმარათ თუ არა დადგენილება ზოგადი განათლების ეროვნული მიზნების დამტკიცების შესახებ პროფესიაში?	თბილისი	აჭარა	გურია	იმერეთი, რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი	კახეთი	სამეგრელო-ზემო სვანეთი	სამცხე-ჯავახეთი	ქვემო ქართლი	შიდა ქართლი, მცხეთა-მთიანეთი	სულ
დამეხმარა	39.7%	34.9%	51.4%	37.4%	43.6%	64.8%	48.0%	39.9%	49.4%	43.9%
ნაწილობრივ დამეხმარა	42.5%	44.6%	43.3%	54.0%	35.5%	29.7%	44.3%	50.3%	44.0%	44.0%
არ დამეხმარებია	9.7%	6.0%	4.3%	4.7%	4.6%	3.5%	4.9%	7.4%	3.7%	5.9%
მიჭირს პ/გ	8.2%	14.5%	0.9%	3.9%	16.3%	1.9%	2.8%	2.4%	3.0%	6.1%

✓ „მასწავლებლის პროფესიული განვითარების სქემა“

„მასწავლებლის პროფესიული განვითარების სქემის“ შესახებ სრულად ან ნაწილობრივ ინფორმირებულთა რაოდენობა 91.1%-ია. მათგან 85.1% აცხადებს, რომ ეს რეგულაცია დაეხმარა პროფესიული საქმიანობისას, თუმცა თითქმის მეათედი ამბობს, რომ ის მათ არ დახმარებია.



რეგიონების მიხედვით მონაცემთა ანალიზისას გამოიკვეთა, რომ აღნიშნული დოკუმენტის შესახებ სრულად ინფორმირებულობის ყველაზე მაღალი ხარისხი სამეგრელო-ზემო სვანეთშია (59.8%). სქემის შესახებ არაინფორმირებულთა პროცენტული მაჩვენებელი ყველაზე მაღალი კი ქვემო ქართლშია (10.4%) (იხ. ცხრილი №25).

ცხრილი №25

ინფორმირებულობა (მასწავლებლის პროფესიული განვითარების სქემა)	თბილისი	აჭარა	გურია	იმერეთი, რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი	კახეთი	სამეგრელო-ზემო სვანეთი	სამცხე-ჯავახეთი	ქვემო ქართლი	შიდა ქართლი, მცხეთა-მთიანეთი	სულ
სრულად	58.8%	55.5%	59.7%	66.0%	67.9%	75.7%	71.8%	60.1%	71.1%	64.6%
ნაწილობრივ	36.1%	38.1%	38.0%	30.3%	25.5%	20.9%	26.7%	34.4%	26.8%	31.2%
არ ვარ ინფორმირებული	3.4%	5.3%	1.8%	2.7%	2.4%	2.5%	1.5%	5.0%	2.0%	3.1%
მიჭირს პ/გ	1.7%	1.1%	0.5%	1.0%	4.1%	0.9%	-	0.4%	0.1%	1.2%

ინფორმირებულთაგან ყველაზე მეტად მასწავლებლებს სქემა სამეგრელო-ზემო სვანეთში დაეხმარათ (93.4%-ს სრულად ან ნაწილობრივ დაეხმარა), ხოლო ყველაზე ნაკლებად – თბილისსა (12.6%) და ქვემო ქართლში (11.8%) (იხ. ცხრილი №26).

ცხრილი №26

დაეხმარათ თუ არა მასწავლებლის პროფესიული განვითარების სქემა პროფესიაში?	თბილისი	აჭარა	გურია	იმერეთი, რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი	კახეთი	სამეგრელო-ზემო სვანეთი	სამცხე-ჯავახეთი	ქვემო ქართლი	შიდა ქართლი, მცხეთა-მთიანეთი	სულ
დამეხმარა	40.5%	41.0%	40.9%	37.6%	42.9%	55.2%	46.9%	38.9%	45.7%	42.7%
ნაწილობრივ დამეხმარა	39.7%	40.5%	49.5%	48.9%	29.6%	38.2%	44.9%	46.9%	43.7%	42.4%
არ დამეხმარებია	12.6%	6.8%	7.3%	9.5%	10.4%	4.3%	5.9%	11.8%	8.5%	9.2%
მიჭირს პ/გ	7.2%	11.7%	2.3%	4.0%	17.2%	2.3%	2.3%	2.5%	2.1%	5.8%

✓ ბავშვთა უფლებების კონვენცია

ბავშვთა უფლებების კონვენციის შესახებ სრული ან ნაწილობრივი ინფორმაცია 95.6%-ს აქვს. მათგან 90.1% ამბობს, რომ ეს რეგულაცია მათ პროფესიულ საქმიანობაში დაეხმარა.

მის შესახებ ყველაზე მეტად ინფორმირებულნი სამეგრელო-ზემო სვანეთში (80.9%) არიან, ხოლო ყველაზე ხშირად არ ფლობენ ინფორმაციას ქვემო ქართლსა (5.7%) და აჭარაში (5.2%) (იხ. ცხრილი №27).



ცხრილი №27

ინფორმირებულობა (ბავშვთა უფლებების კონვენცია)	თბილისი	აჭარა	გურია	იმერეთი, რაჭა- ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი	კახეთი	სამეგრელო- ზემო სვანეთი	სამცხე- ჯავახეთი	ქვემო ქართლი	შიდა ქართლი, მცხეთა- მთიანეთი	სულ
სრულად	69.3%	60.5%	69.0%	68.3%	68.5%	80.9%	68.5%	61.2%	68.1%	68.2%
ნაწილობრივ	25.7%	33.1%	29.5%	27.4%	25.1%	16.9%	29.3%	32.5%	29.6%	27.4%
არ ვარ ინფორმირებული	3.8%	5.2%	1.5%	3.5%	2.4%	1.7%	2.1%	5.7%	2.0%	3.4%
მიჭირს პ/ვ	1.2%	1.2%	-	0.8%	4.0%	0.6%	0.2%	0.6%	0.3%	1.0%

ინფორმირებულთაგან აღნიშნული კონვენცია ყველაზე მეტად სამეგრელო-ზემო სვანეთში მომუშავე მასწავლებლებს დაეხმარა (72.4%), ხოლო ყველაზე ნაკლებად – თბილისსა (8.5%) და ქვემო ქართლში (6.9%) მომუშავეებს (იხ. ცხრილი №28).

ცხრილი №28

დაგეხმარათ თუ არა ბავშვთა უფლებების კონვენცია პროფესიაში?	თბილისი	აჭარა	გურია	იმერეთი, რაჭა და ქვემო სვანეთი	კახეთი	სამეგრელო- ზემო სვანეთი	სამცხე- ჯავახეთი	ქვემო ქართლი	შიდა ქართლი, მცხეთა- მთიანეთი	სულ
დამეხმარა	51.7%	47.5%	54.6%	51.4%	56.8%	72.4%	58.9%	50.5%	59.3%	55.1%
ნაწილობრივ დამეხმარა	32.7%	34.3%	43.3%	42.4%	26.2%	24.0%	37.2%	41.1%	34.9%	35.0%
არ დამეხმარებია	8.5%	4.3%	1.2%	3.0%	3.1%	2.0%	2.9%	6.9%	4.3%	4.7%
მიჭირს პ/ვ	7.2%	13.9%	0.9%	3.2%	14.0%	1.6%	1.1%	1.5%	1.5%	5.2%

შეჯამება

როგორც მონაცემებიდან ჩანს, ინფორმირებულობის მაღალი ხარისხი ყველაზე ხშირად სამეგრელო-ზემო სვანეთში დაფიქსირდა. ეს ტენდენცია განმეორდა ყველა რეგულაციასთან მიმართებით. ინფორმირებულობის შედარებით დაბალი ხარისხი კი ქვემო ქართლსა და აჭარაში გამოვლინდა.

საკანონმდებლო რეგულაციებისა და პროფესიული სტანდარტების დადებითი შეფასება ყველაზე ხშირად სამეგრელო-ზემო სვანეთში აღინიშნა. ეს ტენდენცია გამეორდა ყველა რეგულაციასთან მიმართებით. ისეთი მასწავლებლების რაოდენობა, რომლებიც ამბობდნენ, რომ ჩამოთვლილი კომპონენტები მათ პროფესიაში არ დაეხმარა, ყველაზე მეტი იყო ქვემო ქართლსა და თბილისში.

V. მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრის პროგრამები: ინფორმირებულობა, ჩართულობა და შეფასება

მასწავლებლებს უნდა შეეფასებინათ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრის პროგრამების მიმართ ინფორმირებულობის ხარისხი და, ამასთან, დაეფიქსირებინათ მოსაზრება იმის შესახებ, დაეხმარა თუ არა მათ აღნიშნული პროგრამები პროფესიულ წინსვლაში.

მონაცემებიდან იკვთება, რომ ჩამოთვლილი კომპონენტების შესახებ ინფორმირებულობის ხარისხი დაბალია. საშუალოდ, მასწავლებელთა დაახლოებით მეხუთედი საუბრობს იმაზე, რომ ამა თუ იმ რეგულაციასთან დაკავშირებით არ აქვს ინფორმაცია. აღმოჩნდა, რომ ყველაზე მეტად ინფორმირებული მასწავლებლები ინკლუზიური განათლების (52.2%–სრულად, 38.2% – ნაწილობრივ), სკოლის ბაზაზე მასწავლებელთა პროფესიული განვითარების (45.9%–სრულად, 41.8% – ნაწილობრივ), პროფესიული განვითარების პროგრამისა (45%–სრულად, 42.6% – ნაწილობრივ) და მასწავლებელთა პროფესიული განვითარების სქემის (42.5% –სრულად, 47.7% – ნაწილობრივ) შესახებ არიან. მასწავლებელთა ნახევარზე მეტი არ ფლობს ინფორმაციას პროგრამა „პესტალოცის“ შესახებ (59.8%). დიდ ნაწილს არ აქვს ინფორმაცია პროგრამებზე: „ვისწავლოთ ქართული, როგორც მეორე ენა“ (31.3%), „ქართული ენა მომავალი წარმატებისთვის“ (26.7%), „ასწავლე და ისწავლე საქართველოსთან ერთად“ (24.9%), „ასწავლე საქართველოსთვის“ (23.8%) და მაძიებლობა–მენტორობა (20.7%).




ამასთან, ნაწილობრივი ინფორმაციის ფლობის პროცენტული მაჩვენებელი აჭარბებს სრული ინფორმაციის ფლობის მაჩვენებლებს შემდეგ პროგრამებთან დაკავშირებით: „მასწავლებელთა პროფესიული განვითარების სქემა“, დამხმარე სახელმძღვანელოები მასწავლებლებისა და სკოლის დირექტორებისთვის, მაძიებლობა–მენტორობა, „ასწავლე საქართველოსთვის“, „ქართული ენა მომავალი წარმატებისთვის“, „ვასწავლოთ ქართული, როგორც მეორე ენა“, „ასწავლე და ისწავლე საქართველოსთან ერთად“.

აღნიშნული მონაცემებიდან იკვეთება, რომ რესპონდენტების დაახლოებით ნახევარი სრულად ინფორმირებულია მხოლოდ სამი პროგრამის შემთხვევაში, ესენია: „ინკლუზიური განათლება“, „სკოლის ბაზაზე მასწავლებელთა პროფესიული განვითარება“ და „პროფესიული განვითარების პროგრამა“ (იხ. დიაგრამა №9).

დიაგრამა №9



რამდენად ინფორმირებულები ხართ მასწავლებელთა განვითარების ცენტრის შემდეგი პროგრამების შესახებ?




ჩამოთვლილი პროგრამებიდან ყველაზე პოპულარულ მასწავლებლები აფასებენ პროგრამებს: „დამხმარე სახელმძღვანელოები მასწავლებლებისა და სკოლის ღირფქორებისთვის“ (66.2%), „ინკლუზიური განათლება“ (65.6%), „პროფესიული განვითარების პროგრამა“ (64.3%), „სკოლის ბაზაზე მასწავლებელთა პროფესიული განვითარება“ (63.2%) და „ქართული ენა მომავალი წარმატებისთვის“ (62.1%). მნიშვნელოვანია, აღინიშნოს, რომ პროგრამები მხოლოდ იმ რესპონდენტებმა შეაფასეს, რომლებიც აღნიშნული პროგრამების შესახებ სრულ ან ნაწილობრივ ინფორმაციას ფლობდნენ.

ინფორმირებული მასწავლებლები ყველაზე ნეიტრალურად აფასებენ პროგრამებს „პესტალოცი“ (59.4% აფასებს ნეიტრალურად) და მაძიებლობა – მენტორობა (48.1% აფასებს ნეიტრალურად). უარყოფითი შეფასებები კი ყველაზე ხშირად მიიღეს პროგრამებმა „პესტალოცი“ (4.8% აფასებს



ნეგატიურად) და „ვასწავლოთ ქართული, როგორც მეორე ენა“ (4.7% აფასებს ნეგატიურად). საერთო ჯამში, პროგრამების ნეგატიური შეფასების საშუალო მაჩვენებელი არ აღემატება 3%-ს (იხ. დიაგრამა №10).


დიაგრამა №10



ის მასწავლებლები, რომელთაც აღნიშნეს, რომ ჩამოთვლილი პროგრამების შესახებ ინფორმაციას ფლობენ, აცხადებენ, რომ მათ შესახებ ინფორმაცია ინტერნეტით (30.1%), სკოლის დირექტორისგან (26.9%), სხვა მასწავლებლებისგან (12.8%), რესურსცენტრის (12.2%) ან მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის მეშვეობით მიიღეს (8.7%) (იხ. დიაგრამა №11).



დიაგრამა №11



აღმოჩნდა, რომ რეგიონულ ჯრილში დამუშავებული მონაცემები ზოგადი სურათის მონაცემების მსგავსია. რეგიონების მიხედვით იცვლება მხოლოდ პროცენტული მაჩვენებლები. მაგალითად, ინფორმირებულთა შორის ინტერნეტის გამოყენება მსგავსია ყველა რეგიონში, თუმცა შედარებით მაღალი პროცენტი დაფიქსირდა თბილისში (33%), ხოლო ყველაზე დაბალი – გურიაში (27.8%). რესურსცენტრის საშუალებით პროგრამების შესახებ ინფორმაციის მიღება შედარებით ხშირია გურიაში (15.5%) და სამეგრელო-ზემო სვანეთში (15.9%), ხოლო ყველაზე იშვიათი – თბილისში (8.3%). სკოლაში სპეციალურად შერჩეული საკონტაქტო პირის მეშვეობით ინფორმაციას ყველაზე ხშირად იღებენ თბილისში (9.9%), ხოლო ყველაზე იშვიათად – გურიაში (3.3%). სკოლის დირექტორისგან ინფორმაციას (მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ განხორციელებული პროგრამების შესახებ) ყველაზე ხშირად იღებენ სამცხე-ჯავახეთში (30.1%), გურიაში (29.6%) და იმერეთში, რაჭა-ლეჩხუმსა და ქვემო სვანეთში (29.3%), ხოლო ყველაზე იშვიათად – თბილისში (21.8%). სხვა მასწავლებლებისგან ინფორმაციას ყველაზე ხშირად ქვემო ქართლში (16%), გურიაში (14.4%), შიდა ქართლსა და მცხეთა-მთიანეთში (14.2%)



იღებენ, ხოლო ყველაზე იშვიათად – სამეგრელო–ზემო სვანეთში (10.2%). მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი ინფორმაციის წყაროდ ყველაზე ხშირად – თბილისში (11.3%), ხოლო ყველაზე იშვიათად ქვემო ქართლში (6.4%) დაასახელეს (იხ. ცხრილი №29).

საბოლოოდ, გამოიკვეთა, რომ თითქმის ყველა რეგიონში ინფორმაციის წყაროა ინტერნეტი და სკოლის დირექტორი, თუმცა, მაგალითად, გურიაში დირექტორი უფრო ხშირადაა ინფორმაციის წყარო, ვიდრე ინტერნეტი. ხშირად ინფორმაციის მიღების საშუალებაა რესურსცენტრი და სხვა მასწავლებლები.


ცხრილი №29

ინფორმაციის საშუალებები/წყაროები	თბილისი	აჭარა	გურია	იმერეთი, რაჭა–ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი	კახეთი	სამეგრელო–ზემო სვანეთი	სამცხე–ჯავახეთი	ქვემო ქართლი	შიდა ქართლი, მცხეთა–მთიანეთი
ინტერნეტი	33.0%	29.2%	27.8%	31.0%	28.3%	29.0%	30.6%	29.4%	28.2%
რესურს ცენტრი	8.3%	12.1%	15.5%	12.1%	14.3%	15.9%	14.1%	12.1%	12.0%
სკოლაში სპეციალურად შერჩეული საკონტაქტო პირი	9.9%	7.4%	3.3%	5.8%	7.9%	6.1%	3.6%	6.9%	7.3%
სკოლის დირექტორი	21.8%	28.0%	29.6%	29.3%	26.3%	27.9%	30.1%	27.8%	27.1%
სხვა მასწავლებლები	13.2%	12.6%	14.4%	11.7%	11.9%	10.2%	12.2%	16.0%	14.2%
მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი	11.3%	7.8%	8.1%	8.1%	8.5%	8.4%	7.3%	6.4%	9.0%
სხვა	0.2%	0.6%	0.3%	0.3%	0.1%	0.9%	0.5%	0.7%	0.6%
მიჯირს პ/გ	2.2%	2.3%	0.9%	1.7%	2.7%	1.6%	1.4%	0.8%	1.6%

ის მასწავლებლები კი, რომელთაც აღნიშნეს, რომ ჩამოთვლილი პროგრამების შესახებ ინფორმაცია არ აქვთ, ამის მიზეზად ასახელებენ იმას, რომ არ აქვთ ინფორმაცია ამ პროგრამების არსებობის შესახებ. ნაწილი ამბობს იმასაც, რომ მათთვის რესურსები ხელმიუწვდომელია (25.8%). 15.5% აღნიშნავს, რომ არ აქვს დრო, ხოლო მეთაფი ამბობს, რომ არ სჭირდება ამ პროგრამების გამოყენება პროფესიული განვითარებისთვის. 6.2%–ისთვის ჩამოთვლილი პროგრამები არ არის საინტერესო (იხ. დიაგრამა №12).



დიაგრამა №12



რეგიონულ ტერიტორიაში პროგრამების მიმართ არაინფორმირებულობის მიზეზების განხილვისას აღმოჩნდა, რომ პასუხს „არ ვარ დაინტერესებული/არ მაქვს სურვილი“ ყველაზე ხშირად თბილისსა (8.8%) და კახეთში (8.5%) აფიქსირებენ. იმ მასწავლებლების რაოდენობა, რომელთაც ინფორმაციის მისაღებად არ აქვთ, დრო ყველაზე მეტი თბილისშია (23.1%). რესურსებზე ხელი ყველაზე მეტად იმერეთში, რაჭა ლეჩხუმსა და ქვემო სვანეთში (32.2%), ქვემო ქართლსა (33%) და სამცხე-ჯავახეთში (33.7%) არ მიუწვდებათ. მათი რაოდენობა, ვინც არაინფორმირებულობის მიზეზად ასახელებს იმას, რომ საერთოდ არაფერი იცის ჩამოთვლილი რეგულაციების არსებობის შესახებ, ყველაზე მეტი სამეგრელო-ზემო სვანეთშია (53.3%). კახეთში არაინფორმირებულთა 18.2% აფიქსირებს პასუხს, რომ არ ესაჭიროება ამ სტანდარტების/რეგულაციების გამოყენება პროფესიული განვითარებისთვის. მაშ, მონაცემებიდან ჩანს, რომ (იხ. ცხრილი №30):

- ✓ თბილისში არაინფორმირებულობის მიზეზად ყველაზე ხშირად ასახელებენ იმას, რომ არაფერი იციან პროგრამების არსებობის შესახებ (38.2%) და არ აქვთ დრო (23.1%);
- ✓ აჭარაში არაინფორმირებულობის მიზეზად ყველაზე ხშირად ასახელებენ იმას, რომ არაფერი იციან აღნიშნული პროგრამების არსებობის შესახებ (41.2%) და არ მიუწვდებათ ხელი რესურსებზე (23.7%);
- ✓ გურიაში არაინფორმირებულთა მესამედი ამბობს, რომ არაფერი იციან აღნიშნული პროგრამების არსებობის შესახებ (39.9%), ხოლო 28.3% აცხადებს, რომ არ მიუწვდებათ ხელი რესურსებზე;
- ✓ იმერეთში, რაჭა-ლეჩხუმსა და ქვემო სვანეთში ყველაზე ხშირად ამბობენ, რომ არაფერი იციან აღნიშნული პროგრამების არსებობის შესახებ (40.3%) და არ მიუწვდებათ ხელი რესურსებზე (32.2%);



- ✓ კახეთში არაინფორმირებულობის მიზეზი ყველაზე ხშირად ისაა, რომ რესპონდენტებმა არაფერი იციან აღნიშნული პროგრამების არსებობის შესახებ (39.9%) და არ მიუწვდებათ ხელი რესურსებზე (24.5%);
- ✓ სამეგრელო–ზემო სვანეთში არაინფორმირებულობის მთავარი მიზეზი ისაა, რომ მასწავლებლებმა არ იციან ჩამოთვლილი პროგრამების არსებობის შესახებ (53.3%) და არ მიუწვდებათ ხელი რესურსებზე (23.2%);
- ✓ სამცხე–ჯავახეთში მთავარი პრობლემა ისაა, რომ რესპონდენტებმა არაფერი იციან აღნიშნული პროგრამების არსებობის შესახებ (42.6%) და არ მიუწვდებათ ხელი რესურსებზე (33.7%);
- ✓ ქვემო ქართლში რესპონდენტები არაინფორმირებულობის მიზეზად ასახელებენ იმას, რომ მათ არაფერი იციან ჩამოთვლილი პროგრამების არსებობის შესახებ (38.6%) და არ მიუწვდებათ ხელი რესურსებზე (33%).
- ✓ შიდა ქართლსა და მცხეთა–მთიანეთში კი არაინფორმირებულობის ორი ძირითადი მიზეზი გამოიკვეთა – პროგრამების არსებობის შესახებ არაინფორმირებულობა (44.4%) და რესურსების მიმართ ხელმიუწვდომლობა (25.9%).

ცხრილი №30

არაინფორმირებულობის მიზეზები	თბილისი	აჭარა	გურია	იმერეთი, რაჭა და ქვემო სვანეთი	კახეთი	სამეგრელო–ზემო სვანეთი	სამცხე–ჯავახეთი	ქვემო ქართლი	შიდა ქართლი, მცხეთა–მთიანეთი
არ ვარ დაინტერესებული/არმაქვს სურვილი	8.8%	6.5%	5.5%	5.5%	8.5%	3.3%	5.1%	5.6%	4.1%
არ მაქვს დრო	23.1%	18.1%	13.0%	10.4%	7.9%	12.0%	8.5%	15.4%	16.8%
არ მიმიწვდება ხელი რესურსებზე	16.4%	23.7%	28.3%	32.2%	24.5%	23.2%	33.7%	33.0%	25.9%
არაფერი ვიცი აღნიშნული პროგრამების არსებობის შესახებ	38.2%	41.2%	39.9%	40.3%	39.9%	53.3%	42.6%	38.6%	44.4%
არ მესაჭიროება ამ პროგრამების გამოყენება პროფესიული წინსვლისთვის	12.4%	9.9%	12.8%	11.1%	18.2%	6.7%	10.0%	7.1%	7.4%
სხვა	1.0%	0.3%	0.5%	0.4%	0.5%	1.5%	0.0%	0.4%	1.3%
მიჭირს პ/კ	0.1%	0.3%	–	0.2%	0.4%	–	–	–	–



5.2. მასწავლებელთა პროფესიული ეროვნული ცენტრის მიერ განხორციელებული პროგრამები რეგიონების მიხედვით

✓ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების სქემა

მასწავლებელთა პროფესიული განვითარების სქემის შესახებ ინფორმირებული (სრულად ან ნაწილობრივ) მასწავლებელთა 90.2%-ია. ინფორმირებულთაგან მას პოზიტიურად აფასებს ნახევარზე მეტი, ხოლო ნეიტრალურად – 38.4%.

რეგიონულ ჭრილში მონაცემთა ანალიზისას გამოიკვეთა, რომ სამეგრელო-ზემო სვანეთში გამოკითხული მასწავლებლები ყველაზე ინფორმირებულები არიან სქემის შესახებ (55.9% – სრულად ინფორმირებული, 39.5% – ნაწილობრივ ინფორმირებული), ხოლო ყველაზე ნაკლებად ინფორმირებულები გურიასა (12.7% არ არის ინფორმირებული) და ქვემო ქართლში (13.6% არ არის ინფორმირებული) გამოიკითხნენ (იხ. ცხრილი №31).

ცხრილი №31

ინფორმირებულობა (მასწავლებელთა პროფესიული განვითარების სქემა)	თბილისი	აჭარა	გურია	იმერეთი, რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი	კახეთი	სამეგრელო-ზემო სვანეთი	სამცხე-ჯავახეთი	ქვემო ქართლი	შიდა ქართლი, მცხეთა-მთიანეთი	სულ
სრულად	42.1%	43.7%	39.8%	42.6%	40.7%	55.9%	47.3%	34.7%	36.2%	42.5%
ნაწილობრივ	49.3%	47.5%	47.6%	47.8%	46.6%	39.5%	44.6%	50.8%	52.3%	47.7%
არ ვარ ინფორმირებული	5.7%	6.8%	12.7%	7.4%	3.7%	3.8%	7.5%	13.6%	9.8%	7.5%
მიჭირს პ/გ	2.9%	2.0%	–	2.1%	9.0%	0.7%	0.6%	1.0%	1.7%	2.3%

აღნიშნული პროგრამების შეფასებისას გამოიკვეთა, რომ ყველაზე დადებითად მას სამეგრელო-ზემო სვანეთსა (68.6% აფასებს პოზიტიურად) და სამცხე-ჯავახეთში აფასებენ. ნეიტრალური შეფასება ყველაზე ხშირად გურიაში დაფიქსირდა (45.9% აფასებს ნეიტრალურად), ხოლო ნეგატიური შეფასება – თბილისში (5.6% აფასებს ნეგატიურად), შიდა ქართლსა და მცხეთა მთიანეთში (5.4% აფასებს ნეგატიურად) (იხ. ცხრილი №32).

ცხრილი №32

როგორ შეაფასებდით პროგრამის „მასწავლებელთა პროფესიული განვითარების სქემა“	თბილისი	აჭარა	გურია	იმერეთი, რაჭა და ქვემო სვანეთი	კახეთი	სამეგრელო-ზემო სვანეთი	სამცხე-ჯავახეთი	ქვემო ქართლი	შიდა ქართლი, მცხეთა-მთიანეთი	სულ
---	---------	-------	-------	--------------------------------	--------	------------------------	-----------------	--------------	------------------------------	-----



მიმდინარეობას?										
პოზიტიურად	50.9%	50.4%	49.7%	53.8%	55.7%	68.6%	62.8%	58.3%	54.6%	55.6%
ნეიტრალურად	40.5%	41.8%	45.9%	40.8%	36.9%	28.3%	34.7%	37.3%	38.9%	38.4%
ნეგატიურად	5.6%	3.4%	4.0%	3.3%	2.0%	1.5%	1.8%	2.8%	5.4%	3.6%
მიჭირს პ/გ	3.1%	4.4%	0.4%	2.0%	5.4%	1.5%	0.7%	1.6%	1.1%	2.4%

✓ **სკოლის ბაზაზე მასწავლებელთა პროფესიული განვითარება**

სკოლის ბაზაზე მასწავლებელთა პროფესიული განვითარების შესახებ ინფორმირებული გამოკითხულთა 87.7%-ია (სრულად და ნაწილობრივ). ინფორმირებულთაგან მას პოზიტიურად აუფასებს 63.2%, ხოლო ნეიტრალურად – მესამედი.

რეგიონულ ჯრილში მონაცემების განხილვისას გამოიკვეთა, რომ ყველაზე მეტად ინფორმაციას ამ პროგრამის შესახებ სამეგრელო-ზემო სვანეთში გამოკითხული მასწავლებლები ფლობენ (60.4%-ს აქვს სრული ინფორმაცია), ხოლო ყველაზე ნაკლებად – გურიასა (14.8%-ს არ აქვს ინფორმაცია) და ქვემო ქართლში (12.8%-ს არ აქვს ინფორმაცია) (იხ. ცხრილი №33).

ცხრილი №33

ინფორმირებულობა (სკოლის ბაზაზე მასწავლებელთა პროფესიული განვითარება)	თბილისი	აჭარა	გურია	იმერეთი, რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი	კახეთი	სამეგრელო-ზემო სვანეთი	სამცხე-ჯავახეთი	ქვემო ქართლი	შიდა ქართლი, მცხეთა-მთიანეთი	სულ
სრულად	45.1%	40.0%	47.7%	43.2%	44.4%	60.4%	52.2%	38.3%	48.6%	45.9%
ნაწილობრივ	41.3%	45.9%	37.2%	44.7%	40.8%	31.0%	39.3%	47.7%	42.5%	41.8%
არ ვარ ინფორმირებული	9.6%	10.2%	14.8%	9.1%	4.1%	6.6%	7.0%	12.8%	6.6%	8.9%
მიჭირს პ/გ	4.1%	3.9%	0.3%	3.0%	10.8%	2.0%	1.5%	1.3%	2.4%	3.4%

აღნიშნულ პროგრამას პოზიტიურად ყველაზე მეტი რესპონდენტი სამეგრელო-ზემო სვანეთში აუფასებს (74.8%), ნეიტრალურად – აჭარასა (38.3%) და იმერეთში, რაჭა-ლეჩხუმსა და ქვემო სვანეთში (36.8%), ხოლო ნეგატიურად – თბილისში (2.6%) (იხ. ცხრილი №34).

ცხრილი №34

როგორ შეაფასებდით პროგრამის „სკოლის ბაზაზე მასწავლებელთა პროფესიული განვითარება“ მიმდინარეობას?	თბილისი	აჭარა	გურია	იმერეთი, რაჭა და ქვემო სვანეთი	კახეთი	სამეგრელო-ზემო სვანეთი	სამცხე-ჯავახეთი	ქვემო ქართლი	შიდა ქართლი, მცხეთა-მთიანეთი	სულ
პოზიტიურად	61.0%	54.5%	68.1%	59.8%	63.2%	74.8%	67.1%	62.7%	65.3%	63.2%



ნეიტრალურად	33.3%	38.3%	31.3%	36.8%	28.3%	23.9%	30.2%	34.3%	32.1%	32.7%
ნეგატიურად	2.6%	1.4%	0.6%	1.9%	0.9%	0.5%	1.2%	1.2%	0.9%	1.5%
მიჭირს პ/გ	3.1%	5.7%		1.5%	7.5%	0.8%	1.5%	1.8%	1.7%	2.7%

✓ პროგრამა „პესტალოცი“

პროგრამა „პესტალოცის“ შესახებ ნაწილობრივ ან სრულ ინფორმაციას მხოლოდ გამოკითხულთა 33.6% ფლობს. 59.8%-ს აღნიშნული პროგრამის შესახებ ინფორმაცია არ აქვს. ინფორმირებულთაგან მას ნეიტრალურად 59.4% აფასებს, ხოლო პოზიტიურად – მხოლოდ მეოთხედი.

პროგრამის მიმართ სრულად ინფორმირებულთა ყველაზე დიდი წილი სამეგრელო-ზემო სვანეთსა (13.7%) და სამცხე-ჯავახეთზე მოდის (11%). ნაწილობრივ ინფორმირებულები ყველაზე მეტნი იმერეთში, რაჭა-ლეჩხუმსა და ქვემო სვანეთში არიან (33.9%), ხოლო არაინფორმირებულები – ქვემო ქართლში (69.5%), შიდა ქართლსა და მცხეთა-მთიანეთში (64.8%) (იხ. ცხრილი №35).

ცხრილი №35

ინფორმირებულობა (პროგრამა „პესტალოცი“)	თბილისი	აჭარა	გურია	იმერეთი, რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი	კახეთი	სამეგრელო-ზემო სვანეთი	სამცხე-ჯავახეთი	ქვემო ქართლი	შიდა ქართლი, მცხეთა-მთიანეთი	სულ
სრულად	8.4%	6.1%	8.2%	5.9%	8.1%	13.7%	11.0%	6.4%	5.1%	7.8%
ნაწილობრივ	23.7%	23.3%	29.0%	33.9%	17.2%	27.5%	28.3%	21.2%	25.9%	25.8%
არ ვარ ინფორმირებული	60.1%	62.8%	59.0%	55.9%	52.4%	54.5%	57.4%	69.5%	64.8%	59.8%
მიჭირს პ/გ	7.8%	7.8%	3.8%	4.4%	22.4%	4.2%	3.3%	2.9%	4.1%	6.6%

პროგრამის შეფასებები ვარირებს რეგიონების მიხედვით, კერძოდ, ყველაზე პოზიტიური შეფასება ამ პროგრამას სამეგრელო-ზემო სვანეთსა (37.7%) და ქვემო ქართლში აქვს (35.1%), ნეიტრალური – გურიაში (68.1%), შიდა ქართლსა და მცხეთა მთიანეთში (67.8%). ნეგატიური დამოკიდებულება ყველაზე ხშირი კახეთში (7.7%), სამცხე ჯავახეთსა (7.4%) და თბილისშია (6.8%) (იხ. ცხრილი №36).

ცხრილი №36

როგორ შეაფასებდით პროგრამის „პესტალოცი“ მიმდინარეობას?	თბილისი	აჭარა	გურია	იმერეთი, რაჭა და ქვემო სვანეთი	კახეთი	სამეგრელო-ზემო სვანეთი	სამცხე-ჯავახეთი	ქვემო ქართლი	შიდა ქართლი, მცხეთა-მთიანეთი	სულ
პოზიტიურად	27.6%	22.8%	24.5%	22.9%	28.1%	37.7%	28.1%	35.1%	22.5%	27.6%
ნეიტრალურად	57.7%	60.5%	68.1%	65.4%	40.4%	53.2%	57.6%	58.1%	67.8%	59.4%
ნეგატიურად	6.8%	2.1%	4.0%	5.7%	7.7%	0.9%	7.4%	3.4%	3.7%	4.8%



მიჯინს პ/გ	7.8%	14.6%	3.3%	6.0%	23.7%	8.1%	6.9%	3.3%	6.0%	8.2%
------------	------	-------	------	------	-------	------	------	------	------	------

✓ **მაძიებლობა-მენტორობა**

მაძიებლობა-მენტორობის შესახებ სრულ ან ნაწილობრივ ინფორმაციას გამოკითხულთა 75.1% ფლობს. გამოკითხულთა მეხუთედს მის შესახებ ინფორმაცია არ აქვს. ინფორმირებულთაგან ნახევარი მას ნეიტრალურად აფასებს, ხოლო 43.9%-პოზიტიურად.

რეგიონულ ჯრილში განხილვისას აღმოჩნდა, რომ ამ პროგრამის შესახებ სრულ ინფორმაციას ხშირად ფლობდნენ სამეგრელო-ზემო სვანეთში (42.5%), ხოლო არ ფლობდნენ ინფორმაციას – ქვემო ქართლში (31%) (იხ. ცხრილი №37).

ცხრილი №37

ინფორმირებულობა (მაძიებლობა-მენტორობა)	თბილისი	აჭარა	გურია	იმერეთი, რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი	კახეთი	სამეგრელო-ზემო სვანეთი	სამცხე-ჯავახეთი	ქვემო ქართლი	შიდა ქართლი, მცხეთა-მთიანეთი	სულ
სრულად	32.5%	28.5%	32.8%	29.6%	24.5%	42.5%	27.6%	25.1%	27.5%	30.3%
ნაწილობრივ	40.9%	42.9%	43.2%	50.1%	38.9%	42.2%	52.1%	41.3%	52.1%	44.8%
